საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 18 აპრილი. 2019 წ. №77 (8743) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

„ბესელია აჯობებს თუ... კობახიძე?!“

ეკა ბესელია ამბობს, რომ ირაკლი კობახიძის იმპიჩმენტის საკითხს დააყენებს. განცხადება ბესელიამ ჟურნალისტებთან გუშინ პარლამენტში მომხდარი დაპირისპირების შემდეგ გააკეთა.

„ვაგროვებ ყველა დარღვევის ფაქტს, რასაც პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან აქვს ადგილი – აუცილებლად დავაყენებ მისი პასუხისმგებლობის საკითხს“ – განაცხადა გუშინ ბესელიამ.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ბესელია და კობახიძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. კობახიძემ ბესელიას მიკროფონი გამოურთო. ამის შემდეგ ბესელია თავმჯდომარის ტრიბუნასთან „მიიჭრა“!.. კობახიძემ მანდატურებს უხმო და ატროკებული დედაკაცი დააშოშმინეს!

„ვიდრე მეორეჯერ ავსულვარ ზემოთ, იქამდე გონს მოეგოს. მეორედ რომ ავალ, ქვემოთ ჩამოვიყვან, მერე მანდატური არ უშველის“ – განაცხადა უსათნოესმა ეკა ბესელიამ ირაკლი კობახიძესთან დაპირისპირების შემდეგ გაკეთებულ კომენტარში.

„ვინ არის კობახიძე, რომ არ ვისარგებლო მე, როგორც დეპუტატმა. გავაფრთხილე, რომ კეთილი უნდა ინებოს და დაიცვას კონსტიტუცია და რეგლამენტი. ეს გაფრთხილება მივეცი. ჩვენი უფროსი კი არ არის, ის სხდომის წამყვანია. როცა პროცედურებს არღვევს, მას პასუხი მოეთხოვება. ვაგროვებ ყველა მის დარღვევას. მე აუცილებლად დავაყენებ მისი პასუხისმგებლობის საკითხს. თუ მას იქამდე არ ჩამოაშორებენ იმ პოზიციას, სადაც ის საფრთხის შემცველია პარლამენტისთვის, ქვეყნისთვის, თორემ ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, დავაყენებ – იმპიჩმენტის საკითხს,“ – თქვა ბესელიამ.

ირაკლი კობახიძემ „წყობიდან გამოსულ“ ჩვენი დროის „კოლხ ამორძალს“ ჩვეულებრივი რაჭული სიდინჯით უპასუხა და წუხილი გამოთქვა ვნებიან გაზაფხულზე, ატეხილი ფურივით „გარდარეული“ დიაცის ფსიქიკური აღზნებადობის გამო...

გაივლის წლები და კობახიძე-ბესელიას პარლამენტარობა და პოლიტიკური ოინბაზობა არავის ემახსოვრება...

დრო ყველაფრის მკურნალია. ქართული სალაყბო-პარლამენტი ზუსტად ისეთია, როგორც ზედმეტად ამაყი და აბიციური ქართველი ხალხი!..

მართლაც და, ვაი, ჩვენს პატრონს!

უსაფრთხო დერეფანი, ქალაქი, სოფელი!

საგზაო უსაფრთხოების მოწესრიგებას 9 მლნ ლარი მოხმარდება. საგზაო უსაფრთხოების გრძელვადიანი სტრატეგიის ფარგლებში დასახულია საგზაო უსაფრთხოების ახალი მიმართულებები **და ერთობლივი პასუხისმგებლობა უკეთესი შედეგების მისაღწევად. სტრატეგია ასეთია: უსაფრთხო დერეფანი, უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო სოფელი.**

წელს, პირველად, მხოლოდ საგზაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტში მიზნობრივად გათვალისწინებულია 9 მილიონი ლარი. საგზაო უსაფრთოხოების გაუმჯობესების ღონისძიებები გულისხმობს თვალამრიდებისა და ზღუდარების განახლება-დამონტაჟებას, საგზაო ნიშნების დამატებას, უსაფრთხოების კუნძულებისა და სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერების მოწყობას, გზების სათვალთვალო კამერებით აღჭურვას. ამ ღონისძიებათა ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელო-ზემო-სვანეთში 6 მიმართულებაზე, სულ 70 კმ სიგრძის გზებზე, შსს-თან ერთად გატარდება საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები.

საგზაო უსაფრთხოების მიზნით, 2018 წლის ბოლოს ბიუჯეტის დაფინანსებით დაიწყო ქუთაისის შემოვლით გზის მეორე ზოლის მშენებლობა, რაშიც 2 წლის განმავლობაში 200 მლნ ლარი დაიხარჯება. მეორე ზოლის მშენებლობა მნიშვნელოვანწილად სიჩქარის ლიმიტისა და მოძრაობის წესების დარღვევით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევების დიდი რაოდენობის გამო გახდა საჭირო. ქუთაისის შემოვლითი გზის ახალი ზოლის მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ გზაზე ორმხრივი მოძრაობა კვლავ შესაძლებელი გახდება.

როცა რიყეზე ქვას არ ხედავენ!

③

რას აკეთებს ივანიშვილი აბასთუმანში და რას ამუქებს „რუსთავი-2“?..

ქართული სამედიცინო სკოლის კიდევ ერთი დიდი აღიარება

⑤

ავტოგარბენით დავცხებთ უგზოობას და ზოზინს!

④

„ძალიან დიდია ეს განსაცდელი, მაგრამ ვიმედოვნებთ, ყოველივე მალე აღდგება“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს და რომის პაპს წერილები გაუგზავნა, რომლებშიც პატრიარქი ხანძრის გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„გამოვთქვამთ გულისტკივილსა და თანაგრძნობას პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში მომხდარი ხანძრის გამო. ძალიან დიდია ეს განსაცდელი, მაგრამ ვიმედოვნებთ, ყოველივე მალე აღდგება და განახლდება.

შევთხოვთ ღმერთს, ყველა ადამიანშიც განახლდეს და აღდგეს რწმენა, სასოება და სიყვარული. ლოცვასა შინა თქვენი მომხსენებელი, ილია მეორე“, – აღნიშნულია პატრიარქის წერილში.

გადაურჩა თუ არა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ხანძარს

⑥

დავით აღმაშენებლის ცხოველმყოფელი ჯვარი

⑦

კვიპროსმა აღიარა საქართველო, როგორც უსაფრთხო ქვეყანა

საქართველოსა და კვიპროსის პრეზიდენტებმა სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში, მედიისათვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

საქართველოს პრეზიდენტმა კვიპროსის პრეზიდენტის ვიზიტს ისტორიული უწოდა და განაცხადა, რომ დღეს არის ისტორიული დღე, რადგან 27-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობების შემდეგ, საქართველოში კვიპროსის პრეზიდენტი ჩამოვიდა.

„ამ ვიზიტისათვის მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო მას და აღვნიშნო, რომ ეს ჩვენი ურთიერთობების ახალი ეტაპია.

შეხვედრაზე განვიხილეთ დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საკითხები. მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკურმა ურთიერთობებმა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დონეზე აიწიოს.

ამისათვის გაიმართება საქართველო-კვიპროსის ბიზნეს-ფორუმი. ურთიერთობათა განვითარების მიმართულებით ტურიზმისა და ტექნოლოგიების სფეროში ზრდის ძალიან დიდი პოტენციალი გვაქვს. ტექნოლოგიების მიმართულებით კი კვიპროსს საქართველოსათვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება შეუძლია.

ვისაუბრეთ საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე კვიპროსის დახმარების შესაძლებლობებზე და იმ საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც ჩატარდება ბათუმში. იმედი მაქვს, რომ კვიპროსი ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

ძალიან ნიშანდობლივია, რომ კვიპროსმა აღიარა საქართველო, როგორც უსაფრთხო ქვეყანა და ყველანაირი დახმარება ამ ჩვენს გზაზე — „მეტი ევროპა საქართველოში და მეტი საქართველო ევროპაში“, კვიპროსის, როგორც ევროკავშირში საქართველოს ერთ-ერთი პარტნიორის მხრიდან, ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენ ვართ სტაბილური ქვეყნები, ოკუპირებულ ტერიტორიებთან და კონფლიქტთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემით. ორივე ქვეყნის მხრიდან არსებობს საჭიროება და მზადყოფნა, რომ ჩვენ მხოლოდ მშვიდობიანი გზით ვიაროთ ამ მდგომარეობისა და კონფლიქტების გადასაწყვეტად.

ეს არის ასევე, მნიშვნელოვანი ერთობლივი გამოცდილება ორი პატარა ქვეყნისათვის, რომელიც ცდილობს, თავისი დამოუკიდებლობა გაამყაროს და მშვიდობიანი გზით მოახდინოს დღევანდელი მდგომარეობის ცვლილება.

კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო კვიპროსის პრეზიდენტს, იმისათვის, რომ საოკუპაციო ხაზზე კვიპროსი სამი წარმომადგენლით მონაწილეობს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში და ეს საქართველოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია და გამოხატავს სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურყევ მხარდაჭერას...

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო კვიპროსის პრეზიდენტს მისი ვიზიტისათვის და ვისურვო, რომ ჩვენი ურთიერთობები კიდევ უფრო გაძლიერდეს“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

კვიპროსის პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილს მადლობა გადაუხადა კვიპროსის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი კვიპროსის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოსა და კვიპროსს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, ტურიზმის სფეროში თანამშრომლობა და ხალხთაშორისი კავშირები იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და კვიპროსის პრეზიდენტ ნიკოს ანასტასიადისის შეხვედრის მთავარი თემა.



მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში წარმატებულ თანამშრომლობას. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ კვიპროსი საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორული მთლიანობის, ასევე ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის ძლიერი მხარდამჭერია. აღინიშნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ათი წლისთავთან დაკავშირებით მაისში დაგეგმილ ღონისძიებებზე კვიპროსის მხარდამჭერი პოზიციების დაფიქსირების მნიშვნელობა.

მთავრობის მეთაურმა ისტორიულად შეაფასა კვიპროსის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად შედგა.

შეხვედრაზე მხარეებმა გამოთქვეს სურვილი, გაძლიერდეს ორმხრივი თანამშრომლობა ეკონომიკური მიმართულებით, რათა ეკონომიკური ურთიერთობის დონე შესაბამისობაში იყოს ქვეყნებს შორის არსებულ პოლიტიკურ თანამშრომლობასთან. ყურადღება დაეთმო ცირკულარული მიგრაციის საკითხებს. კვიპროსის პრეზიდენტმა ამ კუთხით შემდგომი ნაბიჯების გადადგმის მზადყოფნა გამოთქვა.

აღინიშნა კვიპროსის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში გაფორმებული შეთანხმებების მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და ინფორმაციის გაცვლის მიმართულებით.

მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ კვიპროსის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი როგორც ორმხრივ ფორმატებში, ისე ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის გზაზე ხელშესახებ შედეგებს მოიტანს.

„ეს ასეთი შტერი არ იყო“...

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ყველა განცხადება, რომელიც ერთ კონტექსტში განიხილავს რუსეთის აგრესიას და თავისუფალი სამყაროს პოლიტიკას, პუტინის პროპაგანდის წისქვილზე ასხამს წყალს.

საუბარია მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე, სადაც იგი ამბობს, რომ წარმატებული უკრაინა და საქართველო არავის სჭირდება და დასავლეთსაც კოლონიალური მიდგომები აქვს.

„ყველა განცხადება, რომელიც რუსეთის აგრესიას რაიმე ფორმით მაინც ერთ კონტექსტში განიხილავს თავისუფალი სამყაროს პოლიტიკასთან, თუნდაც ისეთ პოლიტიკას, რომელიც ვინმეს მცდარად მიაჩნია რაღაც საკითხში, არის პირდაპირ წყლის დასხმა პუტინის პროპაგანდის წისქვილზე. რუსეთს და პუტინს არ სჭირდებათ, რომ აქონ, მთავარია, ყველა იყოს განხილული ერთ კონტექსტში. ამ პროპაგანდას აწარმოებენ საქართველოშიც პროპუტინისტური ძალები. ამიტომ ეს განცხადება უაღრესად საზიანოა ჩვენი ქვეყნის ნაციონალური ინტერესებისთვის, რადგან აძლიერებს ჩვენი მტრის ნარატივს“, — განაცხადა ბოკერიამ „ტაბულასთან“ საუბრისას.

„ამასთან, დეპუტატს აინტერესებს, რა პოზიცია აქვთ მიხეილ სააკაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით მისი გუნდის წევრებს. „მინდა, მოვისმინო ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ლიდერების პოზიცია ამ საკითხზე, რათა გავიგოთ, ეს რამე ფუნდამენტური ცვლილებაა მთელი პარტიის თუ მიხეილ სააკაშვილის ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან საზიანო, სახიფათო და სამწუხარო პოზიციაა“, — აღნიშნა ბოკერიამ.

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და უკრაინის ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა 12 აპრილს ვარშავაში უკრაინელებთან შეხვედრაზე თქვა, რომ ძალიან წარმატებული უკრაინა და საქართველო არავის სჭირდება და „ევროპელებს სურთ, რომ უკრაინა არსებობდეს, რომ ის იყოს წარმატებული, თუმცა რაღაც ჩარჩოების ფარგლებში“.

„ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, არსებობს ვლადიმერ პუტინი, რომელსაც უკრაინა საერთოდ არ სჭირდება, ვისთვისაც უკრაინა ანაქრონიზმია, ვერ ხვდება, რატომაა, რისთვისაა ეს ქვეყანა. მეორე მხრივ კი, არის დასავლეთი, რომელსაც ასევე კოლონიალური მიდგომები აქვს, რომ კი, იყოს უკრაინა, არსებობდეს, ოღონდ სადღაც კუთხეში. მათ უკრაინა სჭირდებათ, როგორც სამუშაო ძალა“, — თქვა სააკაშვილმა.

გიგა ბოკერიას აღნიშნულ შეფასებას, თავად ადრესატიც გამოეხმაურა. მიხეილ სააკაშვილმა „ფეისბუქის“ პირად გვერდზე დაწერა:

„ლოზუნგური აზროვნების კლასიკური ნიმუში — ეს ასეთი შტერი არ იყო და აბა, რა თავს იშტერებს — ვითომ ვერ გაიგო, რა ვთქვი“, — დაწერა სააკაშვილმა სოციალურ ქსელში.

მარშალპრესი

ამერიკელები დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის პროგრესით კმაყოფილნი არიან

პრემიერ-მინისტრი აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის დელეგაციას შეხვდა. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი მიმართულებები განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის დემოკრატიული პარტნიორობის კომიტეტის დელეგაციამ შეხვედრაზე, რომელიც გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

ყურადღება გამახვილდა ორმხრივ ურთიერთობებზე, რომელიც, პრემიერის შეფასებით, ასეთ მაღალ დონეზე არასოდეს ყოფილა. ხაზი გაესვა საქართველო-აშშ-ის მაღალი დონის პოლიტიკურ ურთიერთობებთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას. ამ კონტექსტში განიხილეს საქართველოსა და აშშ-ს შორის შესაძლო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები და ამ კუთხით მოლაპარაკებების გაგრძელების მნიშვნელობა, რაც ამერიკულ კომპანიების ინტერესის ზრდას და ორმხრივი ვაჭრობის წახალისებას შეუწყობს ხელს.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ, რომლის შედეგადაც საქართველო საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადავიდა და პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულება გაიზარდა. ხაზი გაესვა ასევე საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის კუთხით მიღწეულ პროგრესს.

ყურადღება გამახვილდა საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე, მათ შორის საუბარი შეეხო მართლმსაჯულებისა და განათლების სისტემის რეფორმას.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და გამოწვევები. პრემიერ-მინისტრმა დელეგაციის წევრებს გააცნო მთავრობის სამშვიდობო ინიციატივა — „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

როცა რიყეზე ქვას არ ხედავენ!

რას აკეთებს ივანიშვილი აბასთუმანში და რას აშუქებს „რუსთავი-2“?..

სოციალური ქსელის მომხმარებელი ეკა სილაგაძე აბასთუმანში ტუბდისპანსერის გადატანის შესახებ „რუსთავი-2“-ის მიერ მომზადებულ სიუჟეტს ეხმიანება. სიუჟეტში ნათქვამია, რომ კურორტი ბიძინა ივანიშვილის ინტერესს წარმოადგენს და პირადი მიზნებისთვის იყენებს. რა კეთდება რეალურად, ამის შესახებ **ეკა სილაგაძე** თავის პოსტში წერს.

„აბასთუმანში სახლი მაქვს. მილიონერების ბუმი იყო ჯერ კიდევ მიშას დროს, მაგრამ ყველა, ვინც აბასთუმანში ინვესტორად მოიაზრა ნაძირალა სააკაშვილმა, გაჩერდა და ვერაფერი გააკეთა, რადგან ორი იმდენი წილად მოსთხოვა, რაც უნდა დაეხარჯათ. მათ შორის იყო პარუნაშვილი, ყოფილი დეპუტატი და ბანკი რესპუბლიკის პატრონი ლაშა პაპაშვილი. იქაური ხალხი — დაუსაქმებელი, გაღარიბებული, ეზო ეზოს არ ჰგავს, გზები, მგონი, ასი წლის წინათ შეკეთდა ბოლოს. ჰოდა, შარშანდელს მერე, რაც ივანიშვილი გამოჩნდა იქ, გინდათ — თუ არ გინდათ ზოგიერთებს, აბასთუმანს პერსპექტივა გამოუჩნდა.

გზის გაჭრას აპირებდნენ აბასთუმანი-საირმის მიმართულებით კვირიკაშვილი-ალავიძე, რაც დაუშვებელი იყო და ამ კურორტს ფაქტობრივად არარაობად აქცევდა, მაგრამ პირველი, რაც მოხდა, ამ გზის მიმართულება შეიცვალა. ეგრეთ წოდებული ერთადერთი ტუბსაავადმყოფო „ზეკარი“ მოექცა ივანიშვილის ინტერესის არეალში. დიდი ხანია, ეს შენობა ფეკალიების ზევიდან ტივტივებდა, იქ გარშემო მაცხოვრებელი ადამიანები კი გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებში იყვნენ. ამიტომ, ზეკარის დანგრევა იქაურებისთვის ყველაზე კარგი გადაწყვეტილებაა, რაც შეიძლებოდა რომ მომხდარიყო... ხოლო იქაური მაცხოვრებლებისთვის ხუთასი მეტრის მოშორებით დაიწყო ოთხსართულიანი კორპუსების მშენებლობა, რასაც კუთვნილ საცხოვრებელ ფართებს +30 % ფართი დაემატა და ასე შენდება მათთვის გარემონტებული ბინები.

იმ კორპუსების ადგილზე, სადაც მოსახლეობას ნაკვეთები და ბოსტნები ჰქონდა, ყველას მისცეს მაგიერი! გამოცვალეს კომუნიკაციები! წყლის სათაო ნაგებობაზე მიდის რეაბილიტაცია და ახლა იმედი მოგვეცა, რომ, როცა იწვიმებს, ტალახი არ წამოვა აბასთუმნის ონკანებში! გარდა ამისა, ქართუ ფონდის დაფინანსებით, მოხდება ეზოების სრული რეაბილიტაცია, აბასთუმანში მოწესრიგდება გზები, ივლიან ელექტრომობილები, რადგან იქაური ჰაერის სისუფთავე 95%-იანია. ტუბსაავადმყოფო სხვაგან გადავიდა... სრული რეაბილიტაციის კურსის გავლა აწი ფეშენებელურ სამედიცინო დაწესებულებაში იქნება შესაძლებელი...

იმხელა ზეკარის საავადმყოფო სულ რაღაც 17, ძირითადად ყოფილ პატიმარ, ტუბერკულოზით დაავადებულებს ემსახურებოდა... რომლებსაც მარტო ჰაერი არ კურნავს, სხვათა შორის...

იქაურ მოსახლეობას ჰკითხოს ვინმემ, როგორია ეზოში რომ გაივლის ტუბერკულოზით დაავადებული ვინმე და თავის ნახველს, სადაც ფეხით გიწევს სიარული, იქ დატოვებს? მოშორებით მათი გადასვლა ყველაზე ლოგიკურია და საჭირო! კომუნისტების დროს ასეთი ავადმყოფები ჭიქებით დადიოდნენ და ნახველს ჭიქაში ათავსებდნენ!

მოკლედ, ამ ყველაფრის დაჯერება იმიტომ არ გვიჭირს, რომ უკვე დაწყებულია ყველა შესაბამისი პროცესი..

ვისაც გვჯერა გაგვატარეთ!

P. S. — „რუსთავი-2“-ს რატომღაც გამორჩენია გუშინდელ სიუჟეტში აბასთუმანზე ვანო მერაბიშვილის ფეშენებელური სასახლე.

დღემდე ჩადის იქ მამამისი და როგორ და რანაირად აიშენა შს მინისტრმა, ადრე გაღლეტილმა ვანომ, ცალკე საკითხია.

არც ყოფილი გამგებლის, ნაციონალი ნავჯიბულას ხელში ჩაგდებული ათობით შენობა და ქონება უსსენებია „რუსთავი-2“-ს, რასაც ახლა იგივე ქართუ ფონდს მილიონებად უფასებს! ერთ-ერთი ტუბსაავადმყოფო უგულავას ხელშიც ყოფილა, როგორც მითხრეს და სამ მილიონად აფასებენ „მეწილე“ ნაძირალა ნაციონალები!

ჰოდა, სადაც თქვენი დაიკვეხოთ, ნაცნაძირალებო, იქ ჩვენიცა თქვითო, ნათქვამია!“ — წერს ეკა სილაგაძე.

MARSHALPRESS.GE

საფეხმავლო ბილიკი კუს ტბასა და მთაწმინდას შორის

გერმანიის **საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელშეწყობით, კუს ტბისა და მთაწმინდის ტერიტორიაზე ტყის აღდგენისა და საფეხმავლო ბილიკის მოწყობის ღონისძიებები იგეგმება. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, პროექტის განსახორციელებლად, GIZ-თან თანამშრომლობის მემორანდუმი უახლოეს დღეებში გაფორმდება.

მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით დეტალურად მერის მოადგილემ მაია ბითაძემ ისაუბრა.

„ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი იგეგმება. ჩვენ უკვე დავასრულეთ ტყის ინვენტარიზაცია, რომლის შედეგადაც, გამოიყო რვა ძირითადი სატყეო სექტორი. ამ ინვენტარიზაციისა და შესაბამისი სატყეო კვლევების საფუძველზე, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ გრანტი გამოყო. რამდენიმე დღეში გაფორმდება მემორანდუმი და წლის ბოლომდე დაახლოებით, 6-კილომეტრიანი საფეხმავლო ბილიკი მოეწყობა, რომელიც კუს ტბას მთაწმინდასთან დააკავშირებს. ბილიკის გარშემო მოეწყობა საკემპინგე და დასასვენებელი ზონები, ეკოლოგიური განათლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ასევე, გადმოსახედები, რაც ტურისტულად მიმზიდველი იქნება. როგორც დედაქალაქის სტუმრებს, ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნებათ, ქალაქში ისეთ სივრცეებს გაეცნონ, სადაც ხელმისაწვდომობა ნაკლები იყო. ამასთან, 20 ჰა ფართობზე განხორციელდება ტყის აღდგენის ღონისძიებები. ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი წარმატებული პროექტი იქნება“, — განაცხადა მაია ბითაძემ.

„გვაქვს სიახლე, რომელიც მნიშვნელოვანია დედაქალაქის ურბანული განვითარებისთვის — უახლოეს მომავალში მუნიციპალური განვითარების ფონდი აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, თბილისის მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის შესყიდვაზე ტენდერს გამოაცხადებს. გვინდა, რომ ჩავატაროთ კვლევა რაიონებში, რათა დადგინდეს, სად არის ტრანსპორტის ნაკლებობა და ამ მიმართულებით რისი გაკეთებაა საჭირო. შეიძლება, ეს იყოს ტრამვაი, მეტრო. მაგალითად, დიღმის მიმართულებით მიწისზედა მეტროს პროექტის განხორციელებაზე სერიოზული მოსაზრება არსებობს. შესაბამისად, კვლევა გვიჩვენებს ყველაფერს, თუ როგორ შეიძლება ამ მხრივ განვვითარდეთ. რამდენიმე კვირაში უკვე დაიწყება კვლევა და ძალიან მალე სრული სურათი გვექნება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა სამგორი-ლილო-აეროპორტის მიმართულებით მიწისზედა მეტროსადგურის მშენებლობის პროექტირების ტენდერზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ გამარჯვებული კომპანია უახლოეს მომავალში გამოვლინდება.

გეგმაშია დიღმის მიმართულებით მიწისზედა მეტროს მშენებლობა

თბილისის **განვითარების ფონდი დედაქალაქის მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის შესყიდვაზე ტენდერს უახლოეს მომავალში გამოაცხადებს,** — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ურბანული მობილობის გეგმის ფარგლებში, დედაქალაქში სატრანსპორტო მიმართულებით სპეციალური კვლევა ჩატარდება.

გათვალისწინებულია მძღოლთა მოთხოვნები

მარჯვენასაჭიანი **ავტომანქანების მძღოლებს მიეცემათ შესაძლებლობა, B კატეგორიაში ტაქსის სერვისის გაწევა 2021 წლის პირველ იანვრამდე განახორციელონ,** — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ტაქსების რეფორმის განხორციელება როგორც საზოგადოებისთვის, ასევე, ტაქსის მძღოლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„ის დამოკიდებულება და გზავნილები, რასაც ბოლო კვირების განმავლობაში ვისმენდით, ნამდვილად არ არის მისაღები. დარწმუნებული ვარ, საზოგადოების მხრიდან, რომელსაც ძალიან დიდი მოთხოვნა აქვს, რომ აღნიშნული მიმართულება მოწესრიგდეს, ძალიან დიდი მხარდაჭერა გვექნება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ტაქსის მძღოლებმა სპეციალური საინიციატივო ჯგუფი შექმნეს, რომელთანაც აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობს. შეხვედრების დროს, მძღოლების თხოვნა იყო, რომ მერიას მათთვის დროებით, გარკვეული შეღავათები დაეწესებინა.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ ადამიანების მოსაზრებები გავითვალისწინეთ. რასაკვირველია, ტაქსების რეფორმა აუცილებლად განხორციელდება და მის გადავადებას არ განვიხილავთ. რეფორმის თითოეული მნიშვნელოვანი დეტალი, როგორიც არის ვადა — პირველი ოქტომბერი, ვიზუალური მხარე — თეთრი ფერი, მერიის მიერ უფასო მანათობლების გადაცემა, პარკირების ადგილების გამოყოფა, ინტერიერის ქიმიური წმენდისა და ავტომანქანის გადაღებვის ვაუჩერი, რასაც საინიციატივო ჯგუფის თხოვნით ფირის გადაკვრის ვაუჩერები დაემატა, თითოეული ეს დეტალი ძალაში რჩება. მძღოლებს ექნებათ ალტერნატივა და უნდათ, გადაღებვის ვაუჩერს აიღებენ, უნდათ — ფირის. აქვე მინდა, მოვუწოდო ტაქსის ყველა იმ მძღოლს, რომელმაც უკვე აიღო ვაუჩერი, დროულად მიმართონ შესაბამის უწყებას, რათა მათი განაღდება მოხდეს“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

მისივე თქმით, მეორე მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც მარჯვენასაჭიან ავტომანქანებს ეხება, 2020 წლის ბოლომდე გადავადდება და 2021 წლის პირველი იანვრიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილებით ტაქსის სერვისის B კატეგორიაში განხორციელება ავტომატურად აიკრძალება.

რაც შეეხება საინიციატივო ჯგუფს, კახა კალაძის განცხადებით, მათთან შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება და ყველა სიახლე ტაქსის მძღოლებთან კომუნიკაციის შედეგად განხორციელდება.

როდიდან აღარ უნდა ვალს გადახდა?!

ავტოგარბენით დავცხებთ უგზოობას და ზოზინს!

ალბათ, ყველას გახსოვთ ლოზუნგი ილფისა და პეტროვის შესანიშნავი ნაწარმოებიდან „ოქროს ხბო“ – Ударим автопробегом по бездорожью и разгильдяйству! (ავტოგარბენით დავცხებთ უგზოობას და ზოზინს!).

ლოზუნგს, რომელიც უსაქმურობის და ტყუილი ლაყაფის სინონიმად იქცა.

ამ ბოლო წლებში მრავალი ასეთი ფრაზა გვესმის „საერთაშორისო შეშფოთებულებებიდან“ დაწყებული ქართული „პოლიტიკური სპექტრით“ დამთავრებული.

გვესმის, ვერთვებით ამ „გარბენში“, მაგრამ ადამ კაზლევიჩის ავტომობილის მგზავრებისგან განსხვავებით, უაზროდ ვადევნებთ თვალყურს უშედეგო ლოზუნგების ფრიალს.

ამ ორი დღის წინათ საქართველოს პარლამენტის წევრმა დიმიტრი ხუნდაძემ უმაღლესი ტრიბუნიდან ჯერ „ფრიად ამაღელვებელი“ ტირადა წარმოთქვა სიძულვილის ენის შესახებ და რეგულაციის დაწესება მოითხოვა (ეს სტატია ე.წ. „კოლექტიურ ხუნდაძეებს“ ეძღვნება).

ცხადია, რომ სიძულვილის ენა ყოვლად მიუღებელია და არც იმას სჭირდება ბევრი ბალალაიკა, რომ „ტირადაც“ და „რეგულაციებიც“ რ2-ის, მისი „დირეხტურის“ და ნაცების რევანშისტული პოლიტიკის პროპაგანდის წინააღმდეგ არის მიმართული.

დიახ, კონკრეტულად მათი სიბილწის და გოიმობის წინააღმდეგ, რადგანაც მხოლოდ ისინი „მუშაობენ“ ამ სტილით.

ყოველგვარი პათეტიკის გარეშე პირდაპირ მინდა, ვკითხო საპარლამენტო უმრავლესობას: რას მიედმოედებით? რას პოლიტკორექტულობთ და რას ძიჩმაჩობთ?

რომელი ლორდი კერზონები და რომელი რობერსპიერები ხართ, რომ რაღაც უაზრო ხლართების ძსოვას იწყებთ? ხომ ხედავთ, არ შეგიძლიათ და თავად ეხვევით თძვენ მიერ წამოწყებულ უაზრობაში.

ხუნდაძეს ტირადა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ გვარამიამ მუქარისთვის უკვე იჩივლა! არადა, რად უნდა მაგათ დაშოშმინებას რაიმე დამატებითი კანონპროექტი, ან რომელიმე საერთაშორისო კომისიის დასკვნა?

გასწავლოთ?

კი, ბატონო: დაიწყეთ მუშაობა გვარამიას მიერ მთვარისა ნავერიანზე ფიზიკური ძალადობის ფაქტზე. დაიწყეთ გამოძიება, თუ როგორ ხვდება საიდუმლო ინფორმაციები ძალოვანი სტრუქტურებიდან რ2-ის ხელში. გააკეთეთ რამე, ბოლო-ბოლო სიგარეტი მაინც მოწიეთ.

თუ სიგარეტის მოწევა არ გინდათ, ან გუგული მაღრაძის გეშინიათ, მაშინ რ2-ის საგადასახადო დავალიანებებს მიხედეთ.

2019 წლის 28 მარტს ვებგვერდზე „მედიაჩეკერი“ გამოქვეყნდა კვლევა ქართულ ტელესივრცეში არსებული საგადასახადო დავალიანებების შესახებ, სადაც ლომის წილი სწორედაც რომ რ2-ს აქვს. მას სულ „რამდენიმე“ მილიონით ჩამორჩება „იმედი“.

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ამ კვლევიდან:

„ქართულ მედიაბაზარზე რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს. განსაკუთრებით, თუკი საუბარი საგადასახადო დავალიანებებს შეეხება. როგორც მაუწყებელთა ალიანსის მიერ შემოსავლების სამსახურისაგან გამოთხოვილი დოკუმენტებიდან ირკვევა, ტელებაზარზე ორი მსხვილი მოთამაშე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მზარდი საგადასახადო დავალიანებების პირობებში აგრძელებს მუშაობას. მაშინ, როდესაც სხვა, შედარებით პატარა მედიასაშუალებების საბანკო ანგარიშებს, საგადასახადო დავალიანებების შემთხვევაში, სახელმწიფო დაუყოვნებლივ ინკასოს ადებს.

საუბარია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ ბიუჯეტისათვის გადაუხდელ 33 მილიონზე მეტ ლარზე. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საგადასახადო დავალიანება 2016 წლიდან მოყოლებული იზრდებოდა და 2019 წლის 1 იანვრისათვის ტელეკომპანიას ბიუჯეტის 20 მილიონ ლარზე მეტი მართებდა. ტელეკომპანია „იმედმა“ კი საგადასახადო დავალიანებების დაგროვება 2017 წლის შემდეგ დაიწყო და 2019 წლის პირველი იანვრისათვის ტელეკომპანიას 13 მილიონი ლარი ჰქონდა დავალიანება. ალიანსის გამოთხოვილ ინფორმაციაში არსად არის აღნიშნული, რომ ამ ტელევიზიებიდან რომელიმეს ხსენებულ პერიოდში ინკასო დაედო.

„არსებობს სპეციალური მითითება, რომ ამ ტელევიზიებს რაც არ უნდა ვალი დაედოთ, შენ ინკასოს არ დაადებ და ასეთი მითითება არსებობს „რუსთავი-2-თან“ და „იმედთან“ დაკავშირებით. სხვაგვარად ეს ვალი ვერ დაგროვდება,“ – ამბობს მაუწყებელთა ალიანსის წარმომადგენელი ნათია კუპრაშვილი და იხსენებს ყოფილ პრემიერ-მინისტრთან გიორგი კვირიკაშვილთან არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთ შეხვედრას, სადაც საუბარი შეეხო „რუსთავი-2-ის“ საგადასახადო დავალიანებასაც.

„ამაზე შემიძლია, ღიად ვისაუბრო, რადგან მარტო არ ვიყავი იმ შეხვედრაზე,“ – იხსენებს კუპრაშვილი, – „როცა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დაისვა „რუსთავი-2“-ის შევიწროების საკითხი, პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა თქვა, რომ ხელისუფლება საერთოდ არ არის დაინტერესებული „რუსთავი-2“-ის შევიწროებით, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ „რუსთავი-2“ უკვე დიდი ხანია არ იხდის გადასახადებს და არსებობს კონკრეტული მითითება, რის გამოც მას არ ეხებიან, ანუ თუ ვინმეს უნდა „რუსთავი-2“-ის დახურვა, ყოველთვის შეუძლიათ საგადასახადო კუთხით მიედავონ. ეს არის პირდაპირი დარღვევა კანონმდებლობის, თუკი მისგან იყო მითითება, რომ „რუსთავი-2-ს“ არ შეხებოდნენ. მე მქონდა სრული შოკი და მასაც ვუთხარი ამის შესახებ. შეიძლება, სუბიექტური ვარ ამ შოკში, მაგრამ მგონია, რომ არ შეიძლება არავისთან რაღაც ტიპის გამონაკლისების კეთება. პოზიტიური დისკრიმინაცია მედიაბიზნესში არ შეიძლება. იმიტომ, რომ ეს ავტომატურად კლავს სხვა მოთამაშეებს“.

ნათია კუპრაშვილი აღნიშნავს, რომ „რუსთავი-2“-ის მენეჯმენტი გადასახადების გადაუხდელობის მიზეზად სახელმწიფოს მიერ მათ ანგარიშებზე დადებულ ყადაღას ასახელებს. მისი თქმით, ეს მანიპულაციური არგუმენტია, რადგან კომპანიის შემოსავლები წლიდან წლამდე ლარში არ მცირდება და, შესაბამისად, მათ გადასახადების გადახდაც უნდა შეეძლოთ.

მაუწყებელთა ალიანსის განვითარების დირექტორი ნათია კუპრაშვილი ამბობს, რომ სხვადასხვა შეხვედრაზე, მაგალითად NDI-სთან, ევროკავშირის საადამკვირვებლო მისიასთან, ეუთოსთან, როგორც „რუსთავი-2-ის“, ისე „იმედის“ მენეჯმენტი ადასტურებდა, რომ მათ აქვთ დაგროვილი გადასახადები, მაგრამ არ იხდიან.

„ბოლო შეხვედრა იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როდესაც საადამკვირვებლო მისიები იყვნენ ჩამოსული, დაახლოებით ნოემბრის დასაწყისში. მანდაც ითქვა, რომ არ აპირებენ დავალიანების გადახდას. „რუსთავი-2“ ამბობს, რომ მე ისედაც რთულ პირობებში ვარ ჩაყენებული და არ ვიხდი, ხოლო „იმედი“ ამბობს, რომ, თუ „რუსთავი-2“ არ იხდის, ჩემ მიმართ არასამართლიანია გადახდის მოთხოვნა და მაშინ მეც არ ვიხდი“.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც აღნიშნულმა ტელეკომპანიებმა საკმაოდ დიდი საგადასახადო დავალიანება დააგროვეს. 2010 წელს 36 მილიონი ლარი ჩამოეწერათ ქართულ ტელევიზიებს, რომლიდანაც 25 მილიონი „რუსთავი-2-სა“ და „იმედზე“ მოდიოდა, 9 მილიონი კი საზოგადოებრივ მაუწყებელზე. 2010 წლის შემდეგ ტელევიზიებმა ისევ დააგროვეს დავალიანება. მორიგი საგადასახადო ამნისტია, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის მიწურულს, 2012 წლის ოქტომბერში გამოცხადდა. მეორე ამნისტიის დროს ტელეკომპანია „იმედის“ საგადასახადო დავალიანება 13 მლნ ლარს სცდებოდა, „რუსთავი-2-ის“ კი – 5 მილიონს. 2015 წელს კი მთავრობის განკარგულებით, 16-მილიონიანი ვალი ჩამოეწერა საზოგადოებრივ მაუწყებელს.“

მეტი რაღა გინდათ?

შეგახსენებთ, რომ ცივილიზებულ სამყაროში გადასახადების გადაუხდელობა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაულია. ასე რომ, თუ გასაკეთებელს სწორად გააკეთებთ, „დასავლეთი ვერ მოგედავებათ“.

ჩვენდა (ხალხისთვის) სამწუხაროდ, არ იცით, რა გააკეთოთ! არ იცით და სამანიაკებზე გადაღებულ ფილმებში ხშირად არის ნაჩვენები ის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელშიც ადამიანი პოპულაროებისკენ არის მიდრეკილი და იმის გამო, რომ ტელევიზიამ აჩვენოს, ყველაფერ საზიზღრობაზე მიდის.

თავისუფლების ინსტიტუტისა და მისი ჭუპრების მიერ საქართველოში დამკვიდრებულმა ლიბერალიზმის დამახინჯებულმა ფორმამ, რომლის უმთავრეს „მონაპოვრად“ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“ დასახელდა და რომელსაც ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები ხმალამოღებულნი იცავენ, პირველ რიგში, ყოვლად უნიჭო, უსაქმურ და რეალურ საქმიანობაში წარუმატებელ ადამიანებს, თავიანთი მანიაკალური იდეაფიქსის, გახდნენ პოპულარულნი, რეალიზების საშუალება მისცა, რაც აიტაცეს გაუნათლებელმა და გამოფიტულმა მედიამუშაკებმა, რომლებიც სხვადასხვა მანქანებით მოხვდნენ ტელეკამერის განმკარგველ ადგილას, თავიანთი უნიჭობის მისაჩქმალად მოახდინეს ცნება „რეიტინგის“ არევა ცნება „ნახვადობასთან“ და მედიასივრცე უმდარესი პროდუქტით გაავსეს.

ასეთი მედიამუშაკებისგან ხშირად ისმის განცხადებები – ჩემი ტელევიზია ჩემი ოჯახია, ჩემი სტუდია ჩემი სახლია დ.ა.შ.

არანაირად არ მესმის, რატომ უნდა შეიყვანონ სახლში, მაგალითად, ვინმე ე.წ. დომინიკ მანგოს მსგავსი ტიპები?

ე.ი. მზად ხარ, რომ მეტი ნახვადობისთვის („ნახვადობა“ და არა „რეიტინგი“), საწოლ ოთახში მოისაქმო და ეს ყველაფერი ლაივში აჩვენო?

არავის არაფრისკენ არ მოვუწოდებ, თავისი საქმე ყველამ თვითონ იცის. უბრალოდ, ვფიქრობ იმ ფილმის სცენარის დაწერაზე, რომელიც მსგავსი ფსიქიკური გადახრებით დაავადებულ ტიპებზე, ანუ როგორც „სტუმრებზე“, ასევე მედიამუშაკებზე იქნება. იმედი მაქვს, დაფინანსებას მოვიპოვებ.

რაც შეეხება ხელისუფლების „ძიებას“, თუ როგორ მოუარონ ამ მართლაც სავალალო პრობლემას ახალი რეგულაციების საშუალებით, ვეტყვი, რომ არაფერი არ გამოგივათ.

ოხერია შიში, ძნელი დასაძლევია და შეეშვით საშიშ საქმეს.

გია გაბრიჭიძე

საქართველოს პარლამენტში ეთიკის საბჭო იქმნება

შესაბამისი დადგენილება პარლამენტში გუშინ მიიღეს. კენჭისყრა სესიაზე გაიმართა. დადგენილების პროექტს მხარი 87-მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგი კი არც ერთი ყოფილა.

კანონპროექტის ავტორი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირინე ფრუიძეა. ეთიკის საბჭო 16 წევრით უნდა დაკომპლექტდეს.

◎ ეს ერთი და სხვა მრავალი!

ქართული სამედიცინო სკოლის კიდევ ერთი დიდი აღიარება

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას და პროფესორ დუდანა გაჩეჩილაძის მონოგრაფია ნიუ-იორკში გამოიცა

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკა-ინსტიტუტში) **ბოლო წლების განმავლობაში დაგროვდა საკმაოდ დიდი მასალა თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის კომპლექსური კვლევის თვალსაზრისით.**

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და აღიარებული სამეცნიერო გამომცემლობის მიერ 2018 წლის ოქტომბერში ინგლისურ ენაზე გამოიცა (დაიბეჭდა შვეიცარიაში) **აკადემიკოს ფრიდონ თოდუას და პროფესორ დუდანა გაჩეჩილაძის** (რედაქტორი პროფესორი **მიხეილ ოკუჯავა**) მონოგრაფია – „Noninvasive radiologic diagnosic of Extracranial vaschular pathologies“ **(„ექსტრაკრანიული სისხლძარღვების პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა“).**

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ბოლო წლების განმავლობაში დაგროვილ დიდ მასალაზე დაყრდნობით, რაც დაფუძნებულია

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას შვილიშვილი, მომავალი ექიმი გიორგი დიასამიძე მონოგრაფიის წარდგენაზე.

თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის კლინიკის მქონე პაციენტების კომპლექსური კვლევის შედეგებზე, ავტორთა მიერ შეფასებულია უახლესი ნეირო და ანგიოვიზუალიზაციის მეთოდების ეფექტურობა და მნიშვნელობა ცერებროვასკულური პათოლოგიების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკის შემუშავებაში.

პირველად საქართველოში ავტორთა მიერ განხილულია ექსპერტული დონის თანამედროვე ულტრაბგერითი აპარა-

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას და პროფესორ დუდანა გაჩეჩილაძის მონოგრაფიის წარდგენა.

ტურის, მრავალშრიანი კტ-ანგიოგრაფიის, მძლავრი (1,5T; 3T) მაგნიტურ-რეზონანსული ანგიოგრაფიის შესაძლებლობანი მაგისტრალურ არტერიებში ათეროსკლეროზული პროცესის დინამიკის შესწავლის, სტენოზის ხარისხის, ათეროსკლეროზული ფოლაქის სტრუქტურული მახასიათებლების შეფასების თვალსაზრისით. ზემოაღნიშნულ კორელატებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ მკურნალობის როგორც მედიკამენტოზური, ისე ქირურგიული მეთოდების ჩვენებათა დაგეგმვაში და მკურნალობის ეფექტურობის შეფასებაში.



აკადემიკოს ფრიდონ თოდუას და პროფესორ დუდანა გაჩეჩილაძის ნიუ-იორკში გამოცემული მონოგრაფიის ყდები.

კვლევის თანამედროვე მეთოდების ფართოდ გამოყენებამ პრინციპულად გააუმჯობესა ცერებრული ჰემოდინამიკისა და მისი დარღვევების შესწავლის შესაძლებლობანი. თანამედროვე ანგიონეიროიმიჯინგის მეშვეობით შესაძლებელია, მივიღოთ ინფორმაცია ექსტრა-ინტრაკრანიული არტერიული და ვენური სისხლძარღვების მდგომარეობის, ფუნქციური სტატუსის, კოლატერალური მიმოქცევის რეზერვების შესახებ.

ნაშრომს აქვს უდიდესი პრაქტიკული და სამეცნიერო ღირებულება, მასში დამაჯერებლად არის წარმოჩენილი თანამედროვე ანგიონეიროიმიჯინგის მრავალი კლინიკური სიახლე.

ნაშრომი ფართოდ არის ილუსტრირებული. მონოგრაფია წარმოადგენს სამაგიდო წიგნს სხვადასხვა პროფილის ექიმებისთვის: ნევროლოგების, კარდიოლოგების, თერაპევტების, ანგიოლოგებისა და, რა თქმა უნდა, რადიოლოგებისთვის. ასევე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა შესაბამისი დარგის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის.

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მეუღლე (მარჯვნივ), მედიცინის დოქტორი თინათინ შენგელაია და პროფესორი დუდანა გაჩეჩილაძე.

წიგნის ელექტრონული ვერსია ღირს 101 ევრო, ნაბეჭდი – 124 ევრო.

ამ დღეებში საქართველოს ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა ზემოხსენებული მონოგრაფიის წარდგინება. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს აკადემიკოსმა **რომან შაქარიშვილმა**, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა **ალექსანდრე ცისკარიძემ,** პროფესორმა **დავით ფარღალავამ,** პროფესორმა **მარინა ჯანელიძემ,** პროფესორმა **აკაკი ნადარეიშვილმა**.

წიგნის დიდი ინტერესით მიიღო საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოებამ, რასაც მოწმობს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორის **ზურაბ ნადარეიშვილის** და მსოფლიო ნევროლოგთა ასოციაციის ნეიროსონოლოგიის ჯგუფის პრეზიდენტის **ალექსანდრე რაზუმოვსკის** (ბალტიმორი, აშშ) გამოხმაურება. ისინი აღნიშნავენ, რომ წიგნს აქვს უდიდესი პრაქტიკული და მეცნიერული ღირებულება, იგი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სამეცნიერო-პრაქტიკული ლიტერატურისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

გურამ შატაიძე

„ვიცოდით, რომ მოზარდებში იყო ეს პრობლემა, მაგრამ ასეთი მასშტაბით თუ იყო, ვერ წარმოვიდგენდით“

...ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ აზარტული თამაშების კვლევისა და ლუდომანიის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელი გუგა ბესელია. მისმა ორგანიზაციამ გამოიკვლია მოზარდების დამოკიდებულება აზარტული თამაშების მიმართ და აღმოჩნდა, რომ გამოკითხული 14-18 წლის 500 მოზარდიდან 48% ონლაინ აზარტულ თამაშებს თამაშობს.

გუგა ბესელია აზუსტებს, რომ 15-18 წლის ჯგუფს თუ ავიღებთ, მოთამაშეთა პროცენტული წილი იზრდება 59%-მდე და აგრეთვე აცხადებს:

„არსებობს პირდაპირი კავშირი ასაკის მატებასა და დამოკიდებულების ზრდას შორის“.

აზარტული თამაშების კვლევისა და ლუდომანიის პრევენციის ცენტრი სკოლების მოსწავლეებთან მივიდა ლუდომანიის (აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების) პრევენციისთვის ლექცია-სემინარების ჩასატარებლად. გამოკვლევის იდეა მოსწავლეებთან კომუნიკაციის პროცესში გაჩნდა:

„მოზარდების აბსოლუტური უმრავლესობა გვიდასტურებს, რომ ეს არის უბრალო გართობა. ჩვენ ვუხსნიდით, რომ ეს გართობის გარდა ყველაფერია“.

უპირველეს ამოცანად გუგა ბესელია თვლის ონლაინ-სამორინეებში რეგისტრაციის პროცედურის გამკაცრებას, რათა ნებისმიერ ფიზიკურ პირს არ შეეძლოს ანგარიშის გახსნა. ონლაინ-რეგისტრაციისას ერთადერთი ბარიერია შეკითხვა – არის თუ არა პირი სრულწლოვანი?

„ონლაინ-სამორინეები ცდილობენ, თამაში გახადონ ტრენდული და პოპულარული ყველა სეგმენტში და ამისთვის აკეთებენ ყველაფერს!“.

გუგა ბესელია განმარტავს:

„არ ვამბობთ, რომ ყველა, ვისაც შეხება აქვს, ლუდომანია, მაგრამ ეს არის გზა ლუდომანიისკენ“.

„დილის საუბრების“ რესპონდენტი ლაპარაკობს ლუდომანიისა და ნარკომანიის მსგავსებაზე:

„თუ ნარკომანიის შემთხვევაში, დროთა განმავლობაში ვზრდით ნარკოტიკის დოზებს, ლუდომანიის შემთხვევაში, დროთა განმავლობაში უნდა გავზარდოთ ფსონების მოცულობა“.

„აზარტული თამაშების კვლევისა და ლუდომანიის პრევენციის ცენტრი მუშაობს კანონპროექტზე, რომელსაც ზაფხულამდე წარუდგენს პარლამენტს და უპირველესაც გამიზნული იქნება ონლაინ-კაზინოებში რეგისტრაციის შეზღუდვისა და კაზინოების აგრესიული მარკეტინგული კამპანიების შეზღუდვისთვის.

ნინო გელაშვილი

პროტესტი... გორულად

გორელმა კაცმა პროტესტის ნიშნად, მოხუცი დედა სოციალური მომსახურების სააგენტოში დატოვა. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, სწორედ ამიტომ, სოციალურ სააგენტოში პოლიცია გამოიძახეს.

არჩილ ჭულუხაძის განცხადებით, მისი 70 წლის დედა სააგენტოში პროტესტის ნიშნად მას შემდეგ დატოვა, რაც მოხუცს ასაკობრივი პენსია შეუწყვიტეს. ნანა ჭულუხაძე ნერვიულობის ნიადაგზე სოციალურ სააგენტოში ცუდად გახდა, რის შემდეგაც სამედიცინო ცენტრ „გორმედში“ გადაიყვანეს.

„სოციალურში დავტოვე და ვუთხარი: პენსიას რომ დაურიცხავთ, მოვალ და წავიყვან, არაფერი პრობლემა არ იქნება-თქო. პენსია შეუწყვიტეს თურმე იმიტომ, რომ ექვსი თვის განმავლობაში ერთხელ მაინც თავად უნდა ჩამოსულიყო, თუმცა, არ გაითვალისწინეს, რომ ლოგინს არის მიჯაჭვული. არაფერი შეტყობინება არ გამოუგზავნიათ არც სოციალურებს და არც ბანკს.“ – აცხადებს არჩილ ჭულუხაძე. საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს სოციალური მომსახურების სააგენტოში. თეა თედელური აცხადებს, რომ პენსიის შეჩერების მიზეზი, მინდობილობის განახლების აუცილებლობა გახდა.

გადაურჩა თუ არა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ხანძარს დავით აღმაშენებლის ცხოველმყოფელი ჯვარი

ის, რაც შეიძლება, ყველამ არ იცოდეს

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ის ადგილი იყო, სადაც იესო ქრისტეს ეკლის გვირგვინი ინახებოდა. ბუნებრივია, კაცობრიობა სწორედ ქრისტეს გვირგვინის გადარჩენისთვის ლოცულობდა („პეროიანთა“ გასაგებ-გასაგონად — საფრანგეთი მუხლმოდრეკილი ლოცულობდა წუხელ, ლოცვა არ არის სასაცილო თემა) და როდესაც ტაძრის წარმომადგენელმა განაცხადა — „ის უნდა გადარჩეს, რადგან ინახება საგანძურში, რომელიც ცეცხლგამძლეა“, სამყარომ შვებით ამოისუნთქა. Le Figaro-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ხანძრამდე რამდენიმე დღით ადრე ტაძრის სახურავიდან რესტავრაციისთვის მოხსნეს ბრინჯაოს თექვსმეტი ქანდაკება.

ბევრმა არ იცის, რომ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ინახებოდა ქრისტეს ჯვრის ნაწილისგან დამზადებული დავით აღმაშენებლის ჯვარი.

ისტორია

1099 წელს, იერუსალიმის აღების შემდეგ, ჯვაროსნებმა დააარსეს იერუსალიმის სამეფო. წმინდა ქალაქში არსებული ტაძრები დაიკავეს და მათში კათოლიკური ეკლესიები აამოქმედეს. ჯვრის მონასტრისთვის, რომელიც ისტორიულად ქართულად ითვლებოდა და აშენებული იყო იმ ადგილას, სადაც წმინდა ჯვრის ხე გაიზარდა, ხელი არ უხლიათ, რადგან, საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელთან ჰქონდათ მჭიდრო პოლიტიკური და სამხედრო კავშირი — ქართული ჯარის ნაწილები ეხმარებოდნენ ჯვაროსნებს იერუსალიმის აღებისას. წმინდა მიწაზე არსებობდა სხვა ქართული სავანეებიც. ჯვაროსნები დიდ სიმდიდრეს სწირავდნენ ქართულ მონასტრებს, რის გამოც, ისინი მოიხსენიებოდნენ იქაურ ქართულ აღაპებში.

1125 წელს გარდაიცვალა დიდი ხელმწიფე დავით მეოთხე. მეთორმეტე საუკუნის უცხოურ ცნობებს შორის მოიპოვება ერთი წერილი „ანსელის წმინდა საფლავის კანტორისაგან, პარიზის ღვთისმშობლის კრებულს. იერუსალიმითგან“, რომელსაც ათარიღებენ 1108 წლით. ის გვამცნობს იერუსალიმიდან პარიზში გაგზავნილი ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილის შესახებ.

წერილში მოხსენიებულია დავით აღმაშენებელი და მისი ქვრივი. აღნიშნული წერილის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ისტორიკოსებს შორის. ზოგი თვლის, რომ ავტორს შეცდომა მოუვიდა, რადგან 1108 წელს დავით აღმაშენებელი ცოცხალი იყო; ზოგს მიაჩნია, რომ წერილი უფრო გვიანაა დაწერილი, მას მერე, რაც საქართველოს ტახტზე ავიდა დიმიტრი პირველი, დავით მეოთხის ძე და დათარიღებაა მცდარი. მეორე თვალსაზრისი უნდა იყოს უფრო სწორი. წერილი იერუსალიმიდან ფრანგმა სასულიერო პირმა ანსელუსმა გააგზავნა პარიზში. ქართული თარგმანი გადმოწერილია ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ზურაბ ავალიშვილის 1925 წელს გამოცემული წიგნიდან **„ჯვაროსანთა დროიდან“** (შემოკლებით):

„...ანსელუსი, იესო ქრისტეს სახელოვანი საფლავის კანტორი და ხუცესი, გალონ ეპისკოპოსს, სტეფანე მთავარ დიაკონს და პარიზის ღვთისმშობლის სრულიად კრებულს პატივისცემას და სიყვარულს უცხადებს, მერე დასძენს:

...იმ ნიჭთაგან ღმერთმა რომ მომცა, ნიჭი ერთი ფრიადი და შეუდარებელი, ესე იგი ჯვარი, წმინდა ძელითგან ქმნილი, მე, თქვენმა მოყვარემ, თქვენი ეკლესიის, თქვენდა და თქვენი ქალაქის საპატივოდ, სასახელოდ და ასამაღლებლად, ანსელმს, ერთგულსა თქვენსა გავატანე, რომლისაგან თქვენი წიგნი ჩემდამი გამოგზავნილი მივიღე.

როგორც ბერძენთა და ასურთა ნაწერები გვასწავლიან, ქრისტეს ჯვარი ოთხ ძელთაგან ყოფილა შემდგარი. მათში ერთი ის იყო, რომელზეც პილატემ ზედწერილი დაწერა, მეორე — სად იესო ქრისტეს გაშლილი მკლავნი და ხელები მიმაგრებული იყო; მესამე, რომელს მისი ტანი ეკიდა, და მეოთხე — რომელში თვით ჯვარი გამაგრებული იყო და რომელიც გვერდის და ფერხთა სისხლის დაღვრით გავლილია და კურთხეული.

ხოლო ის ჯვარი, თქვენ რომ გამოგიგზავნეთ, ორი ძელითგან არის გაკეთებული. იქ რომ ჯვარია ჯვარში ჩადებული, ჩადებული იმ ძელისა არის, რომელზეც ეკიდა, სადაც ჩართულია იმ ძელისაა, ფეხთა ქვეშ რომ იყო და ჯვარს რომ ამაგრებდა; ორივე პატიოსანი, ორივე წმინდა.

ამ ჯვარსა დავით, მეფე ქართველთა სანამ ცოცხალი იყო, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა, ის დავით, რომელს, მისი წინაპრებივით, კასპიის კარი — გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს — ეჭირა და დარაჯობდა, რასაც შვილი მისი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ (იგულისხმება მიდია) და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია.

შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გა-

რა დაკარგა საფრანგეთმა და მსოფლიომ?

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი (ფრანგ. Notre Dame de Paris), ნოტრ-დამი — გოტიკური საკათედრო ტაძარი პარიზის ილ-დე-ლა-სიტეს აღმოსავლეთ ნაწილში, მთავარი შესასვლელით დასავლეთიდან.

პარიზის ნოტრ-დამი ერთ-ერთი პირველი გოთიკური ტაძარი იყო და შენდებოდა მთელი გოთიკური პერიოდის განმავლობაში. პარიზის ნოტრ-დამი ასევე ერთ-ერთი პირველი შენობა იყო მსოფლიოში, სადაც არკ-ბუტანტები, ე. წ. მფრინავი საყრდენები გამოიყენეს გუმბათების გასამაგრებლად.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი — კათედრალური ეკლესია — აღმართულია კუნძულ სიტეზე, რომელსაც პარიზის შუაგულში ქმნის მდინარე სენის ორი ტოტი. ტაძრის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1163 წელს. მშენებლობა დაიწყო პატრონიკეთი, რომელიც დამთავრდა 1182 წელს, მთავარი კორპუსი კი — 1196 წელს. დასავლეთის პორტალებიანი ფასადი ძირითადად დამთავრდა 1208 წელს, ცალკეული ნაწილების მშენებლობა კი XIII საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა. ძეგლმა მრავალნაირი გადაკეთება განიცადა. განახლდა XIX საუკუნის შუა წლებშიც.

ძირითადად იგი იგებოდა ლაონის კათედრალის (XII ს.) ნიმუშით, რომელსაც ადრეული გოთიკის განვითარების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს არა აქვს მისი სიმსუბუქე და სინარნარე. ვერც შემდეგი დროის (XIII ს. შუა წლებში) არქიტექტორებმა შეძლეს, დაეძლიათ მისი მასიური სიმძიმე, როდესაც მის წინახედს ამთავრებდნენ. ჟან დე შელმა და პიერ დე მონტერიელმა შეძლეს XIII საუკუნის მეორე ნახევარში თავიანთი დროის შესაფერისად მიეღწიათ განივი ნავის ფასადის გოთიკური სიმსუბუქისათვის.

ტაძარს ჰქონდა 130 მეტრი სიგრძე, 50 მეტრი სიგანე და 34 მეტრი სიმაღლე. იგი ხუთნავიანი კათედრალური ტაძარი იყო, მთავარი ნავის კვადრატული უჯრედებით, მასიური სვეტებით და მძიმე კედლებით. ჰქონდა 37 კაპელა-ეკვდერი და მდიდრულად მოჩუქურთმებული პატრონიკე. დიდებულ ფასადს ამშვენებდა სამი შიგნით შეღრმავებული ისრულ- კამარიანი მთავარი კარი, ზემოთ — ოცდარვა სამეფო წალოს — ნიშის მოქარგული და დაკბილული არშია; მის ზემოთ შუაში დატანებულია უზარმაზარი მრგვალი სარკმელი — ვარდული, მარცხნივ და მარჯვნივ ორი სარკმელი; კიდევ უფრო მაღლა, სარკმლების თავზე, იყო მაღალი და ნარნარი, სამყურას ფორმის ჩუქურთმებით მორთული კამაროვანი გალერეა, რომლის წვრილ და ფაქიზ სვეტებზე დამყარებული იყო მძიმე ბაქანი; ბოლოს, ამ ბაქანზე აღმართული იყო მთელი ფასადის გვირგვინი ორი დაუმთავრებელი, მაღალი, მასიური კოშკი (68 მ), მათ შორის უკან, შუაჯვარედინზე, აღმართული მოჩანდა წვრილი შპილი (წვეტი).თაღის სივრცის სიმაღლე აღწევდა 32.5 მეტრს. გარდა ამისა, ეს დიადი ქმნილება თვალს აჯადოებდა თავისი ურიცხვი ქანდაკებებით, ნაძერწი და ჭედური ჩუქურთმიანი დეტალებით. ყოველივე ერთად შეერთებული კი ქმნის მშვენიერ ანსამბლს.

მეფეებისა, მეუღლემ მისმა, უფრო სიწმინდის, ვიდრე გვარიშვილობისათვის სათაყვანომ, წესი მონაზონობისა მიიღო, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირეოდენ (მხლებელით) იერუსალიმს მივიდა, იმ ჯვარის და ბევრი ოქროს თანწამოღებით, და იყო მისი წადილი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება.

იმ წამოღებულ ოქროთგან წმინდა ქალაქის მონასტრებს წილები დაურიგა, ასევე გლახაკთა და მგზავრთათვის მისაცემი გაიღო. შემდგომად ამისა, უფალ პატრიარქ გიბელინის ხელქვეით ქართველ დედათა მონასტერში, იერუსალიმს რომ არის, შესულა. მალეც, დების და პატრიარქის თხოვნით წესი მონაზნობისა მიიღო.

ბოლოს წამოღებული სულ დაარიგა, გასცა და მონასტრის საჭიროებისათვის დახარჯა და ოდეს ჩვენი ქვეყანა შიმშილობამ შეაწუხა, თვითონ მისი ხელქვეითებით გაჭირვებაში ჩავარდა, და თუმცა, ბევრი რამ საჩუქრად ან სესხად მიეღო, მაინც მისი ქველის გრძნობით იძულებული გახდა იმ მონასტრის მოთხოვნილებისათვის, მას რომ ებარა, ისე მოქცეულიყო, როგორც საკუთარ ხორციელ საჭიროებისათვის არასგზით არ იმოქმედებდა.

ამრიგად ის ძელი, არა ვითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით ფასად იქცა და აჰა გამოგიგზავნეთ.“

შემდეგ ანსელუსი აღწერს წმინდა ჯვრის ისტორიას. მისი თქმით, კონსტანტინე დიდის დედამ, დედოფალმა ელენემ, როცა აღმოაჩინეს წმინდა ჯვარი იერუსალიმში, ორად გააჭრევინა, ერთი ნაწილი კონსტანტინოპოლს წაიღო, მეორე კი იერუსალიმში დატოვა. შემდეგ ქრისტიანებმა, რათა უამრავი შესაძლო ხიფათის გამო არ დაკარგვოდათ, იერუსალიმის ძელი ჭეშმარიტის ჯვარი, დაჭრეს ნაწილებად და პატარა ჯვრები გააკეთეს, მათგან ქართველთა პატრიარქს აქვს ერთი, ქართველთა მეფესაც ერთი ჰქონდა, ახლა კი თქვენი საკუთრება არისო.

ჯვრის წაღება პარიზში ანსელუს ხუცეს დაუვალებია ბერ ანსელისთვის, რომელიც გარდაცვლილა

და მისია დაუსრულებია მის შვილს, ფულკს. ანსელუსი ითხოვდა, მოეხსენიებინათ წარწერაში და გარდაცვალების მერე, ლოცვებში (ღმერთმა მიხედოს მათ სულებს და ყველა მორწმუნეს სულს).

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲕᲐᲚᲘᲗᲕᲘᲚᲡ ᲣᲙᲕᲘᲠᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲐᲡᲔᲗ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡ ᲡᲐᲣᲜᲯᲔᲡ, ᲠᲔᲚᲘᲙᲕᲘᲐᲡ ᲨᲔᲚᲔᲝᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲐᲠᲖᲔ, ᲒᲐᲔᲒᲖᲐᲕᲜᲐᲗ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘ ᲫᲕᲠᲘᲕ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡ ᲒᲐᲔᲧᲘᲓᲐᲝ. ᲓᲐ ᲘᲫᲕᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲯᲕᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲖᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲯᲕᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ: „ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲯᲕᲐᲠᲘ (ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲔᲚᲔᲜᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘᲗ) ᲮᲐᲮᲣᲚᲘᲡ ᲮᲐᲢᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲙᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲛ ᲓᲐᲠᲒᲘᲡᲐ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ, ᲒᲣᲚᲡᲐᲙᲘᲓᲘ ᲯᲕᲐᲠᲘᲐ, ᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ (ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲨᲘ) ᲑᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲜᲐᲮᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲡᲝᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲐ: **„ᲫᲔᲚᲝ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲝ, ᲫᲐᲚᲝ ᲯᲕᲐᲠᲘᲡᲐᲝ, ᲨᲔᲜᲘᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲬᲐᲠᲯᲚᲝᲛᲘᲗᲐ ᲧᲕᲝᲚᲐᲓᲕᲔ ᲨᲔᲛᲬᲔ ᲓᲐ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚ ᲔᲫᲛᲔᲜ ᲛᲔᲤᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲡ“**.

მაშასადამე, წმიდა ჯვრის სხვა ნაწილებიც არსებობდა საქართველოში, ამიტომ, დიმიტრი მეფე, დავითის ძე, არ შეეწინააღმდეგებოდა დედინაცვალს გურანდუხტ დედოფალს, იერუსალიმში წაეღო ერთ-ერთი მათგანი. პარიზში სიწმინდე დაუსვენებიათ ბაზილიკაში, რომლის ადგილას აუშენებიათ პარიზის ღვთისმშობლის დიდებული ტაძარი. საფრანგეთის რევოლუციის დროს ტაძარი გაიძარცვა, მაგრამ, რელიკვია გადარჩა.

საინტერესოა, რომ საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, თურმე, არსებულა, ასევე წმინდა ჯვრის სხვა ნაწილიც, მანუელ კომნენოსის (ალბათ, ბიზანტიის იმპერატორის, 1143-1180) ბერძნულწარწერიან ჯვარში ჩასმული. ალბათ, ეს ორი სხვადასხვა რელიკვიაა. ეს რელიკვიაც შემონახულია.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲯᲕᲠᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ. ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐᲪ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔ ᲛᲔᲤᲔᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲫᲕᲠᲘᲕᲘ ᲙᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲘᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲝᲑᲘᲗ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲗ. ᲘᲫᲕᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲑᲣᲠᲯᲐᲓ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲡ ᲣᲙᲐᲕᲘᲐᲗ ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲝᲒᲘᲡ ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲡ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡ.

* * *

დაბოლოს, კიდევ ერთი ისტორია, რომელიც შეიძლება არ იცოდეთ:



„დაუმორჩილებლობა არ ნიშნავს აკრძალული წიგნების შეგროვებას, შეთქმულების თეორიებსა და წმინდა გრაალზე ოცნებებს. დაუმორჩილებლობა უმაღლესი წესრიგის მორჩილება და დეგრადირებულ სამყაროსთან შერკინებაა“, — ამ სიტყვების ავტორმა დომინიკ ვენერმა, 78 წლის ცნობილმა ფრანგმა მწერალმა და ისტორიკოსმა 2013 წლის 22 მაისს მრავალრიცხოვანი მომლოცველებისა და ტურისტების თვალწინ, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველთან ბელგიური პისტოლეტით მოიკლა თავი. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა გარდაცვლილს ჯიბეში აღმოუჩინეს რამდენიმე წერილი. ერთ-ერთი წერილი იქ მყოფ საზოგადოებას ხმამაღლა წაუკითხა ვენერის თანამოაზრემ — **„მსხვერპლად ვწირავ თავს ერის სინდისის გასაღვიძებლად“**.

თვითმკვლელობამდე ერთი დღით ადრე ვენერმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა განცხადება, სადაც საზოგადოებას მოუწოდებდა, დაეგმოთ საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილება ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის შესახებ. „ახლა წყდება ჩვენი ბედი. ეს ის წამია, რომელიც მთელ ცხოვრებას უდრის. ამიტომაა მნიშვნელოვანი, სიცოცხლის ბოლო წამამდე ვიყოთ ის, რაც ვართ. აუცილებელია ახალი, ეფექტიანი აქციები, რათა გავაღვიძოთ მთვარეული და ნარკოზით დაბინდული გონება. დგება დრო, როცა სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს!“ — წერდა ვენერი.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველთან ვენერმა თავი ბასტილიის მოედანზე ერთერთნაირსქესიან ქორწინების მხარდასაჭერად დაგეგმილი კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მოიკლა. მაგრამ ამ სამწუხარო ფაქტმა ხელი ვერ შეუშალა გეი-ზეიმს, რომელიც მაინც ჩატარდა. მეორე დღეს კი ნახევრად შიშველი ფემინისტი ქალი შევარდა ტაძარში და იმავე საკურთხეველთან ცეკვით გაითამაშა ვენერის თვითმკვლელობის სცენა. აქტივისტს სხეულზე ეწერა: „ფაშისტო, განისვენე ჯოჯოხეთში!“, „ჩვენ გვწამს ჩვენი გეების!“

100 ათასობით ფრანგი მოქალაქე გამოვიდა პარიზის ქუჩებში ერთნაირსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ გამართულ აქციებში. ისინი აცხადებდნენ, რომ არ შეჩერდებიან, ვიდრე მთავრობა არ გააუქმებს ამ კანონს. ყველა ბავშვს აქვს უფლება იზრდებოდეს სრულფასოვან ოჯახში, ყავდეს დედაც და მამაც. ერთნაირსქესიანთა ქორწინება კაცობრიობას ჩიხში შეიყვანს, რამეთუ მათ არ შეუძლიათ შვილების გაჩენა.

საფრანგეთის ულტრა მემარჯვენე პარტიის „ეროვნული ფრონტის“ ლიდერმა ლე პენმა თვითმკვლელობა პოლიტიკურ ჟესტად შეაფასა: „ვენერი პატივისცემას იმსახურებს, ის ხალხის გამოღვიძებას ცდილობს“.

განცხადება გააკეთა ეროვნული კრების დეპუტატმა ჟაკ ბომპარმაც: „ვენერმა დაგვანახა, რომ ჩვენი საზოგადოება ავადაა და სწორ გზაზე დასაყენებლად საჭიროა გადამჭრელი ქმედება!..

პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მოძღვარმა მონსენიორ პატრიკ ჟაკენმა განაცხადა, რომ საკურთხევლის წინ თვითმკვლელობა ისტორიაში პირველად მოხდა.

დომინიკ ვენერის ამ შემაძრწუნებელმა ნაბიჯმა მაინც ვერ შეაჩერა ზეიმი — ბასტილიის მოედანზე გეი-ქორწინებათა კანონის მიღების აღსანიშნავი კონცერტი მაინც ჩატარდა. არადა, ბასტილიის მოედანი ის ადგილია, სადაც რევოლუციის შემდეგ პირველმა თავისუფალმა ფრანგებმა დესპოტიზმის სიმბოლოდ ქცეული საძულველი ციხე დაანგრიეს და იქ აღმართულ დაფაზე წააწერეს — „აქ ცეკვავენ!“

მოამზადა
ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲐᲪ

ᲮᲐᲜᲫᲠᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ღვთისმშობლის ტაძარში გაჩენილი ხანძრის საქმეზე მომუშავე გამომძიებლები ამ ეტაპზე ხანძრის განზრახ გაჩენის რაიმე მინიშნებას ვერ ხედავენ, — განაცხადა პარიზის პროკურორმა რემი ეიცმა.

მისი თქმით, ხანძრის ყველაზე სავარაუდო მიზეზი „შემთხვევით აალებაა“.

ამასთან, როგორც პროკურორი აღნიშნავს, გამომძიებლებს ტაძარი ჯერ დეტალურად არ შეუმოწმებიათ, ამის გაკეთებას კი მხოლოდ მას შემდეგ შეძლებენ, რაც სპეციალისტები დაზიანებულ კონსტრუქციას შეისწავლიან და მისი ჩანგრევის საფრთხეს გამორიცხავენ.

ცნობისთვის: ხანძარი, რომელიც 15 აპრილის საღამოს გაჩნდა, 12 საათის განმავლობაში ვერ ჩააქრეს.

როგორც ცნობილია, ნოტრ-დამში სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობდა. პოლიციამ სამუშაოებში მონაწილე პირების დაკითხვა დღეს დაიწყო. შენობის შემოწმება, სავარაუდოდ, კიდევ ორი დღე გასტანს. სპეციალისტებმა უკვე მიაგნეს ორ ადგილს, რომელსაც დამატებით გამაგრება ესაჭიროება.

ხანძრის შედეგად ჩაინგრა ტაძრის შპილი და გადახურვის დიდი ნაწილი, დაიწვა ხის კარკასის მნიშვნელოვანი ნაწილი. გადარჩა ნოტრ-დამის კოშკები და, დიდწილად, ვიტრაჟებიც, თუმცა ჯერ არ არის დადგენილი მათთვის მიყენებული ზარალი.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ტელემიმართვით გამოსვლისას პირობა დადო, რომ ტაძრის აღდგენა ხუთ წელიწადში დასრულდება.

მისი თქმით, რეკონსტრუქციის შედეგად ტაძარი „კიდევ უფრო მშვენიერი“ გახდება.

არსებული ინფორმაციით, ნოტრ-დამის აღსადგენად საფრანგეთში 1 დღეში 600 მილიონ ევროზე მეტი მოგროვდა. პროცესში ჩარევის სურვილი გამოთქვა ქართულმა ბიზნესმაც.

„ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲐᲗ, ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲛᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲓᲐᲬᲕᲔᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ“?

„ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲐᲗ, ფრანგებმა როგორ გადაწვეს მოსკოვი“? — ასე ეხმაურება რუსეთის „ლიბერალურ — დემოკრატიული პარტიის“ ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი რუსი ბიზნესმენების სურვილს, თანხა გამოყონ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენისთვის.

ჟირინოვსკის თქმით, ყველა ქვეყანაში ხდება ხანძარი და რუსეთშიც ბევრი ეკლესიაა აღსადგენი.

„ყველა ქვეყანაში ხდება ხანძარი. ჩვენ ბევრი ეკლესია გვაქვს, რომელიც ომის დროს ან ბოლშევიკების მიერ იყო განადგურებული. მოდით, ისინი აღვადგინოთ, თორემ, პირველ რიგში, უცხოელებისკენ გავრბივართ. დაგავიწყდათ, ფრანგებმა როგორ გადაწვეს მოსკოვი?“ — განაცხადა პოლიტიკოსმა.

მკვდარი მკვდარს აეკიდაო...

დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ვერვინ წარმოიდგენდა, რა მასშტაბები ექნებოდა ცენტრისა და ავტონომიების დაპირისპირებას. ვერ იფიქრებდა სიტყვიერი დაპირისპირების „ცხელ“ დაპირისპირებაში გადასვლას და ძმათამკვლელ კონფლიქტში დამარცხებას; ტერიტორიების დაკარგვას; სულიერების, ზნეობის დაცემას. ვერც იმას იფიქრებდა, რაოდენ მტრულად განვეწყობოდით „დიდ ძმასთან“, საბჭოთა ოჯახის შემდულებელთან — 70 წლის განმავლობაში რომ მართლაც მოჩვენებითი, მაგრამ მაინც ძმური დამოკიდებულება გვქონდა.

პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლამ ახალი სტრატეგიული პარტნიორები გვარგუნა — შორეული, არამარტო გეოგრაფიულად, მენტალურადაც. მათ დაიწყეს საქართველოს გარდაქმნა ისეთად, როგორიც ისინი არიან. პროცესი რთული გამოდგა. მესამე ქვეყნებისთვის გათვლილმა გარდაქმნის პროგრამამ ნაკლები შედეგი მისცა „დამრიგებლებს“, თუმცა თანმიმდევრული მოქმედებით, სისტემატური ტრენინგებით მოახერხეს პოლიტიკური ელიტის გარდაქმნა, არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა, დასავლური აზროვნების ჟურნალისტიკის ჩამოყალიბება. ერთი სიტყვით, ვინც მართავს და ვინც ამ მართვას ხოტბას ასხამს...

როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური ელიტა — ხელისუფლება-ოპოზიციის სახით, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია დასავლურია, იქ სხვაგვარი ორიენტაცია და აზროვნება შეუძლებელია.

„სწავლა-განათლების“ დამღლელ პროცესს პირადად „დიდი მასწავლებელი“ — აშშ წარმართავდა და წარმართავს, მასთან ერთად მის მიერ შერჩეული, გამოზრდილი, ნავარჯიშევი, წარსულში მუყაითი მოსწავლე. საქართველოს, ისე როგორც უკრაინას, ასეთად ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დაუნიშნეს. ასე დაიწყო ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის მაღალ-დაბალი რანგის დელეგაციების, ცალკეული პოლიტიკოსებისა და ექსპერტების სისტემატური ვიზიტები საქართველოში და პირიქით. კვირა ისე არ ჩაივლის ამ სამეულიდან რომელიმემ არ ჩამოგვაკითხოს, ჭკუა არ დაგვარიგოს, გაკეთებული საქმე არ შეგვიფასოს, არ წაგვახალისოს ან საყვედური არ გვითხრას.

ქართული პოლიტიკა ისე შეეჩვია ბალტიისპირულ „მზრუნველობას“, ვერც კი წარმოუდგენია უიმათოდ არსებობა. უმალ გამოიძებნა საერთო ენაც — მეზობელი რუსეთის ლანძღვა-გინება. ასე ითხოვს მათი და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი.

ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დასავლეთისთვის ვიტრინად იყო ქცეული. ვისაც სურდა საბჭოურ ცხოვრებაში ჩახედვა, თუნდაც ფასადურში — ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს სთავაზობდნენ. ამ ფასადისთვის ერთიანი საბჭოეთის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი თანხები იყოფოდა. შენდებოდა ფაბრიკა-ქარხნები, კულტურის ობიექტები, ყოველივე ის, რაც საშუალებას აძლევდა იქაურ მცხოვრებს, თავი გაცილებით უკეთ ეგრძნო, ვიდრე საბჭოეთის უკიდეგანო სხვა კუთხეში.

ბალტიისპირა ქვეყნები თუ უცხოელებისთვის საბჭოური წარმატებული ცხოვრების ერთგვარი განსახიერება იყო, თვით საბჭოელებისთვის უცხოეთად აღიქმებოდა. ნებისმიერი საბჭოთა რესპუბლიკის მცხოვრებისთვის ლიტვაში, ლატვიაში თუ ესტონეთში გამგზავრება უცხოეთში გამგზავრების ტოლფასი იყო.

ანალოგიური შეგრძნება არსებობს დღესაც, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან სამივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა კარგა ხანია ევროკავშირისა და ნატოს წევრები არიან და თუნდაც აქედან გამომდინარე იმათ, როგორც დამრიგებლებს, ბევრის თქმა შეუძლიათ ჩვენთვის.

ბალტიისპირელთა ხმა სისტემატურად ისმის ევროპარლამენტსა თუ ევროსაბჭოში და ძირითადად გამოიხატება რუსეთის ლანძღვაში. ბალტიისპირელები დაბეჯითებით მოუწოდებენ „ძველ“ ევროპას, აშშ-ს, თვალი გაახილონ და დაეხმარონ მათ მზარდი რუსული აგრესიისგან დაცვაში.

ბალტიისპირელთა შემართებას მუდამ მხარს უჭერს ისტორიულად ანტირუსულად განწყობილი პოლონეთი. და შეიქმნა კვარტეტი, რომელიც დასპეციალდა რუსული საფრთხის შემაკავებელ პროპაგანდაში — თითქოს ის არის მთავარი ბარიერი რუსული პირველი შეტევისა. სხვათა შორის, ამავეს იჩემებს უკრაინა და მისი მოკავშირე საქართველოც.

კვარტეტი სთხოვს აშშ-ს გახსნას სამხედრო ბაზები ჩვენს ტერიტორიებზე. ეს უკანასკნელიც მზად არის დაუყოვნებლივ შეასრულოს თხოვნა — დემოკრატიისა და თავისუფლების დაცვის მიზნით.

აღნიშნული კვარტეტის პოლიტიკას ეჭვის თვალით უყურებენ „ძველ“ ევროპაში, ისე, როგორც აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციისას, თუმცა გარკვეული რიდი აქვთ მათ მიმართ, რამეთუ ვაშინგტონი ევროკავშირში ბერკეტების ასამოქმედებლად სწორედ ამ კვარტეტს იყენებს.

„ძველ“ ევროპაში კვარტეტს ხშირად ევროპელ ხულიგნებად მოიხსენიებენ, მაგრამ სიტყვიერი განცხადებების გარდა, სხვა ქმედებას, უფრო საქმიანს და საგრძნობს ადგილი არა აქვს. ევროკავშირი კატეგორიულად ხუჭავს თვალს ბალტიისპირა ქვეყნებში მცხოვრები რუსული წარმოშობის ადამიანების მეორეხარისხოვნად გამოცხადებასთან და მათ შევიწროებასთან დაკავშირებით.

იბადება კითხვა — რატომ? პასუხი მარტივია — რუსეთის გამო! ანტირუსული მარშები, რუსულენოვანთა შევიწროება და სხვა მრავალი იმ კონტექსტში ჯდება, რასაც გლობალური მასშტაბით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქვია.

ბალტიისპირელებს (თავიანთი გაგებით) რუსეთი გავარვარებულ ტაფაზე ჰყავთ დადებული, რომელსაც ცეცხლს ხან მოაკლებენ, ხან მოუმატებენ. მომატების თვალსაზრისით, გასულ თვეს რიგაში ჩატარდა მორიგი კონფერენცია, რუსეთისთვის საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში კომპენსაციის დაწესების თაობაზე. კონფერენციაზე ითქვა, რომ საბჭოთა კავშირის დროს ცენტრი კი არ დებდა ინვესტიციებს ბალტიისპირეთში, არამედ ბალტიისპირელები არ ჩენდნენ საბჭოთა კავშირს.

ლატვიელი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ „საბჭოთა ოკუპაციის“ წლებში ლატვიელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირდა, დიდი ზარალი მიადგა ბუნებას, ეკოლოგიას. სტატისტიკოსთა გამოთვლით დაადგინეს, რომ მარტო ლატვიას „საბჭოთა ოკუპაციამ“ 300 მილიარდი ევროს ზარალი აგემა.

თუ გადავხედავთ რეალურ სტატისტიკას, დავინახავთ, რა მოუტანა „საბჭოთა ოკუპაციამ“ ლატვიას. აი, ისიც: ლატვია წლიურად ამზადებდა 1567 ათას რადიომიმღებს, 17000 ავტობუსს, 100000 მაგნიტოფონს, 22000 — მსხვილფეხა საქონლის საწველ აპარატს, 570000 — სარეცხ მანქანას, 107000 ტონა ქაღალდს, 175000 მოპედს, 2500 როიალს და ფორტეპიანოს, 2546 — სამრეწველო რობოტს, 282 მილიონ ტელეფონის აპარატს...

გათბობაზე და სხვა კომუნალურ გადასახადებზე მოსახლეობა ხარჯავდა შემოსავლის 2,5%, რაც 8-ჯერ ნაკლები იყო დიდ ბრიტანეთთან შედარებით.

ყოველივე აღნიშნული საბჭოთა ინვესტიციის შედეგად განხორციელდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ბალტიისპირელთა ევროკავშირში გაწევრებასთან ერთად, ზემომოყვანილი ფაბრიკა-ქარხნები დაიჭრა და ჯართად გაიყიდა, ხოლო მოსახლეობა 2.7 მილიონიდან 1.8 მილიონამდე შემცირდა. სამუშაოს ძებნის გამო ლატვიელთა დიდი რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებში გადაბარგდა და უკან დაბრუნებას არ აპირებს.

საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა ლიტვასა და ესტონეთში ისეთივე პოზიტიური შედეგი მოიტანა, როგორც ლატვიაში, თუმცა ევროკავშირში 15-წლიანმა წევრობამ მძიმე და მსუბუქი, ქიმიური მრეწველობის დარგები ლატვიელთა გზას გაუყენა. დღეს ლიტვა ევროკავშირის ლიდერია მოსახლეობის შემცირების თვალსაზრისით — 3.7 მილიონიდან (1991 წლის მონაცემებით) 2.7 მილიონამდე (2019 წლის მონაცემებით). ნიშნავს თუ არა ეს „საბჭოთა ოკუპაციის“ წარმატებულობას?

ლატვიის საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულია 290 000 კაცი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტზე 215000, რაც 3-ჯერ აღემატება ევროკავშირის საშუალო მონაცემებს. ქვეყანამ სრული სოციალური კრახი განიცადა და ამ ფონზე პრემიერ-მინისტრის ხელფასი 1722 (თვიურად) ევროთი გაიზარდა, ხოლო სეიმის დეპუტატების, გარდა დამატებებისა — 500 ევროთი და ჯამში 3000 ევრო შეადგინა.

ლატვიის მთავრობა ხელმომჭირნეა მედიცინის, განათლების და სხვა დარგების დაფინანსებაში, მაგრამ ხელგაშლილია სამხედრო საქმეში.

რუსოფობია ლატვიაში ისე, როგორც ლიტვა-ესტონეთში ყველაზე მომგებიანი პროდუქტია. ლატვიის მოსახლეობა ორადაა გაყოფილი. რუსული ენა ამოღებულია განათლების სისტემიდან. ნატოს სამხედროები — განლაგებული ლატვიაში, განცხრომით ცხოვრობენ რიგის ფეშენებელურ სასტუმროებში, დროს ატარებენ კაფეებსა და ბარებში...

15 წელია ლატვია, ლიტვა და ესტონეთი ევროკავშირში არიან, თუმცა შვეიცარიული ცხოვრება, რისი იმედიც ჰქონდათ და ხმამაღლა აცხადებდნენ, ვერა და ვერ მოვიდა. სამივემ ქარს გაატანა „საბჭოთა ოკუპაციის“ წლებში შექმნილი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ერთადერთი, რაც მათ მოახერხეს, ანტირუსული პროპაგანდის გაძლიერებაა. ჯერ-ჯერობით ეს „პროდუქტი“ კარგად გადის ევროატლანტიკურ სივრცეში, თუმცა...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბალტიისპირა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა განიცადეს სერიოზული ეკონომიკური ჩავარდნები, დეინდუსტრიალიზაცია, რამაც განაპირობა მოსახლეობის კატასტროფული გადინება უცხოეთში. პროცესი გრძელდება, რაც სავალალო პერსპექტივას უსახავს ბალტიისპირა სამეულს. ასეთთაგან ჭკუის დარიგება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულად ხმიანებს.

ქართული გამოთქმისა არ იყოს — მკვდარი მკვდარს აეკიდაო. ისეა მასწავლებელ-მოსწავლის საქმე. პრობლემები, რომლებიც იქ არის, აქაც არის. ხელისუფალთა სურვილი პრობლემების გადაჭრისა იქაც ისეთია, როგორიც აქ. მაშ, რაში გამოიხატება ჩვენ მიმართ იქაურთა მხრიდან დამრიგებლობა?

მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ლანძღვაში? ამაში ხომ ჩვენც დიდი პროგრესი გვაქვს?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

აშშ-ს შესაძლოა, პირველი გეი-პრეზიდენტი ჰყავდეს

პიტ ბუტიჯეჯი, შტატ ინდიანას ქალაქ საუტ-ბენდის მერი, გახდა ბოლო დემოკრატი, რომელიც ოფიციალურიად ჩაერთო საპრეზიდენტო კანდიდატების შესარჩევ მარათონში.

37 წლის ბუტიჯეჯმა ამის შესახებ კვირას საუტ-ბენდში გამართულ მიტინგზე განაცხადა.

ბუტიჯეჯი ჰარვარდისა და ოქსფორდის კურსდამთავრებული და ავღანეთის ომის ვეტერანია, პიტი, რომელიც ცოტა ხნის წინ პოლიტიკურ ლანდშაფტში სრულიად უცნობი იყო, გამოკითხვების თანახმად დემოკრატებში მესამე ადგილს იკავებს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენისა და ვერმონტის სენატორის ბერნი სანდერსის შემდეგ.

მალტელი ემიგრანტის შვილი ჰარვარდის კოლეჯში ზუსტად იმ დროს სწავლობდა, როცა ფეისბუქის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი. ბუტიჯეჯს მიღებული აქვს როდსის პრესტიჟული სტიპენდია ოქსფორდის უნივერსიტეტში, მან 7 თვე გაატარა ავღანეთში აშშ-ის საზღვაო ძალების საარეზერვო შემადგენლობაში, როგორც ანალიტიკოსმა და დაზვერვის სამსახურის მძღოლმა. ის ასევე მუშაობდა კონსულტანტად McKinsey & Company-ში. როგორც ამბობენ ბუტიჯეჯი 7 ენაზე ლაპარაკობს, ზოგიერთ მათგანს, მაგალითად, ესპანურს და ნორვეგიულს თავისუფლად ფლობს.

2011 წელს ის თავისი მშობლიური ქალაქის საუტ-ბენდის მერად აირჩიეს , რომლის მოსახლეობაც 100 ათას ადამიანს შეადგენს.

დემოკრატების პრაიმერიზში გამარჯვების შემთხვევაში ბუტიჯეჯი გახდება პირველი ღიად გეი-საპრეზიდენტო კანდიდატი, ხოლო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ამერიკის პირველი ღიად გეი-პრეზიდენტი.

ბუტიჯეჯი დაქორწინებულია, მისი მეუღლე არის ჩესტენ გლეზმენი. წყვილი 2018 წელს დაქორწინდა.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქარაოსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი (EWHIP-4)
კრედიტი/სესხი IDA5245-GE; IBRD 8263-GE
პროექტის No.: P130413
დავალების სახელწოდება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჭიროებების ანალიზი
კონტრაქტი/ RFP No: EWHIP-4/CS/CQS-10

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქარაოსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის (EWHIP-4). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კომპანიებს (შემდგომში "კონსულტანტები") ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჭიროებების ანალიზი".**

დავალების მიზანია გამოავლინოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში არსებული ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას საგზაო ქსელის ეფექტურად სამართავად და განსაზღვროს რეალური ღონისძიებები მართვის გასაუმჯობესებლად.

დავალების ძირითადი მიზანია:

- შეისწავლოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში არსებული სიტუაცია, მათ შორის დეპარტამენტის დებულება, გამოავლინოს ძირითადი გარე შეზღუდვები და განსაზღვროს რეკომენდაციები აღნიშნული შეზღუდვების მოსაგვარებლად;
- შეისწავლოს საავტომობილო გზების დეპარატამენტის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა (ეფექტურია 2018 წლის აგვისტოდან) და გამოავლინოს სისუსტეები, რომელიც დაკავშირებულია არსებული სტრუქტურის ახლით ჩანაცვლებასთან, ისეთი როგორიცაა დეპარტამენტის ფუნქციონალური ეფექტურობა, შიდა კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვა და ანგარიშგების ფორმები, თანამდებობების შესაბამისობა მათ პასუხისმგებლობებთან (თითოეული თანამშრომლის სამუშაო აღწერილობის შესაბამისად);
- განიხილოს თითოეულ სამსახურში გამოყენებული ტექნიკური, ფინანსური და ადმისტრაციული მართვის ფორმების მიზანშეწონილობა, ტრენინგების დონე და დასაქმებული თანამშრომლების პროფესიული გამოცდილება, მათ შორის სადაც საჭიროა კომპიუტერული სისტემების ცოდნა.
- შეაფასოს თანამშრომლების ოპტიმალური რაოდენობა (მათ შორის მუდმივი თანამშრომლების და დეპარტამენტის მიერ პირდაპირ დაქირავებული თანამშრომლების) თითოეული სამსახურის და განყოფილების ამჟამად და მომავალში მოსალოდნელი სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით.

ტექნიკური დავალება აღწერს დეტალურად კონსულტანტის მიერ შესასრულებელ სამუშაოს, დავალების მიზანს, ძირითად პრინციპებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დავალების შესახებ იხილეთ ტექნიკურ დავალებაში შემდეგ ბმულზე:
https://www.dropbox.com/sh/z47ra6nld2o3ttz/AADVvHtvuvmkiPBdS9yleBBba?dl=0

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: კომპანიის კორპორატიული პროფაილი; კომპანიის გამოცდილება განხორციელებული პროექტის შესახებ დავალების მიმართებაში (წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია შემდეგ ბმულზე: http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057); კომპანიის პერსონალის შესახებ ზოგადი ინფორმაცია.

მოკლე სიაში შეყვანის კრიტერიუმები

კონსულტანტი შეირჩევა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ინსტიტუციონალური გაძლიერების შეფასების პროგრამების/გეგმების მომზადების გამოცდილება;
- საჯარო უწყებებისთვის საჭირობების ანალიზის მომზადების გამოცდილება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და კვლევის მეთოდების გამოყენებით;
- საგზაო/სატრანსპორტო/ინფრასტრუქტურული/მსგავსი უწყებებისთვის საჭირობების ანალიზის მომზადების გამოცდილება;
- სტრატეგიული გეგმების/რეკომენდაციების მომზადება ინსტიტუციური გაძლიერებისთვის;

მსგავსი დავალებები დასრულებული ბოლო 10 წლის განმავლობაში (2009 წელს ან მას შემდეგ).

მსგავსი გამოცდილების დავალებების მინიმუმ 50%-ს უნდა ახლდეს თან წერილები დამქირავებლისგან.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაცია და გამოიყენოს ის შეფასების მიზნებისთვის.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 4 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში („კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ *(გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე).* ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს.

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე (CQS) შერჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე **არაუგვიანეს 2019 წლის 8 მაისის 17:00 საათისა.**

სახელი: ირაკლი ქარსელაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი 0160, საქართველო
ელ.ფოსტა: info@georoad.ge
ვებ–გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
Fourth East West Highway Improvement Project (EWHIP-4)
Credit / Loan No. IDA 5245-GE; IBRD-8263-GE
Project No. P130413
Assignment Title: Capacity gap analysis of the Roads Department Ministry of Regional Development and Infrastructure
Contract/RFP No: EWHIP-4/CS/CQS-10

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Fourth East West Highway Improvement Project (EWHIP-4) and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed with the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible companies (here and after "Consultants") to express their interest in providing the following services: **"Capacity gap analysis of the Roads Department Ministry of Regional Development and Infrastructure".**

The objective of the **Capacity Gap Analysis** is to identify areas of the Roads Department's (RD) operations that need to be enhanced to achieve effective and sustainable road network management and how these enhancements can be realistically achieved.

The **main purpose** of the assignment is:

to examine the operational environment of the RD, including a detailed review of the department's Charter, to identify major external constraints to the RD's operations and to make recommendations for addressing these constraints;

to undertake an assessment of the new organization structure of the RD (effective from August 2018) and to identify any weaknesses inherent in transitioning from the current to the new structure, such as functional effectiveness in addressing the RD's mandate, efficiency of internal communications and lines of reporting, and assigned authorities versus levels of responsibility (with respect to job descriptions for each staff post);

to review the appropriateness of technical, financial and administrative management procedures employed in each division, the levels of training and professional expertise of staff to effectively employ these systems, including expertise in computer-based systems where applicable; and

to assess the optimum levels of staffing (including permanent staff and staff contracted directly to the RD) vs current and anticipated workloads per division and per unit.

Terms of Reference describes the services that the Consultant is expected to perform, objectives of the assignment along with guiding principles and qualification requirements.

The Terms of Reference for the subject assignment is available at the following link:
https://www.dropbox.com/sh/z47ra6nld2o3ttz/AADVvHtvuvmkiPBdS9yleBBba?dl=0

Required Qualification of the Consultant:

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: (i) Experience relevant to the project activities, (ii) corporate profile, (iii) key staff resources and qualification. Consultants shall include brief CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience.

Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department's website on www.georoad.ge on the following link: http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057

Shortlisting criteria

The Consultant will be selected using the following evaluation criteria:

Experience in developing institutional capacity assessment programs/plans;

Experience in undertaking capacity gap analysis for public agencies using the best international practices and capacity analysis tools

Experience in undertaking capacity gap analysis for Road/Transport/Infrastructure Administrations / Similar Agencies

Experience in preparing strategic plans/recommendations for capacity building;

Similar assigments completed within the last 10 years (assignments completed in and/or after 2009).

At least 50% of the submitted similar referecnes shall be substantiated with reference letters from the Clients

Note: The Road Department reserves its right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

Estimated duration of assignment is 4 months.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association *(Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)* to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company.

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under **Selection Based on Consultant's Qualification (CQS)** method set out in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines") *(http://www.worldbank.org/en/projects-operations/products-and services/brief/procurement-policies-and-guidance#Guidelines).*

Expressions of Interest accompanied relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **no later than May 08, 2019, 17:00 hours.**

Name: Irakli Karseladze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

◎ გრუნტზე

წყვილებში იმარჯვა

ნიკოლოზ ბასილაშვილმა **მონტე კარლოს მასტერზზე ერთეულებში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ წყვილთა თანრიგში იმარჯვა.**

ჩვენებურმა და მისმა პარტნიორმა რადუ ალბოტმა კლაასენ-სალისბარის დუეტს 6:3, 6:7, 10:7 მოუგეს. მომდევნო ეტაპზე ქართულ-მოლდოვური ტანდემი ფუჩოვიჩ-პელას წყვილს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ მონტე კარლოს მასტერზის ერთეულთა თანრიგში ნიკამ სწორედ ფუჩოვიჩთან 5:7, 6:3, 1:6 წააგო და უნგრელთან უკვე 1:4 ბალანსი აქვს.

კობა კობახიძე

◎ ევროლიგა

გინდა, ახტი...

ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირს ჟელკო ობრადოვიჩის სახით ღირსეული რეკორდსმენი ჰყავს — ბალკანელი სპეციალისტის გაწვრთნილმა კლუბებმა აქამდე 9-ჯერ(!) მოიგეს საკალათბურთო ევროლიგა და სავსებით შესაძლებელია, „ფენერბახჩემ“ თავისი სახელოვანი თავკაცი საიუბილეო მიღწევით წელსვე დაასაჩუქროს.

ასეთი ოპტიმისტური ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის მიერ პლეი-ოფის სასტარტო შეხვედრაში კაუნასის „ჟალგირისთან“ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება გვაძლევს — 76:43.

მატჩის ანგარიშიც მოწმობს, რომ სტამბოლში გამართულ უთანასწორო ბრძოლაში თურქულმა გრანდმა შესანიშნავად ითამაშა დაცვაში, რითიც წარმატებით განახორციელა საკუთარი დამრიგებლის ტაქტიკური კრედო.. არადა, მასპინძლებს ტრავმირებული ლიდერები ვესელი და დატომე აკლდათ.

არანაკლები თვალსასეირო სპექტაკლი დადგა კიდევ ერთმა „ყოჩმა“ — ცსკამ, რომელიც შინ „ბასკონიას“ ჯოჯოხეთური მეორე ტაიმით გაუმასპინძლდა — 94:68 (44:40).

მოსკოველთაგან მეტოქის გატეხვაში გადამწყვეტი როლი სერხიო როდრიგესმა შეასრულა, რომელმაც თანამემამულეებს შესვენების შემდეგ ზედიზედ ოთხი სამქულიანი ჩაუგდო და საბოლოო პირადი მონაგარი 19 ქულამდე აიყვანა.

რაც შეეხება ბასკური კლუბის ქართველ კაპიტან თორნიკე შენგელიას, მან 19 წუთში მოკრძალებულ 6 ქულას, 1 მოხსნასა და 2 ჩაჭრას მოუყარა თავი.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიური სცენარით განვითარდა მოვლენები ამავე გუნდების ამასწინანდელ, რეგულარული სეზონის შეხვედრაში — რუსებმა მაშინაც შესვენების შემდეგ იძალეს.

დავძენთ, რომ მეოთხედფინალური მატჩების სერია 3 მოგებამდე გაგრძელდება და მეორე თამაშები ხვალ გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

ტოტალური აღორძინება

22-წლიანი პაუზის შემდეგ ამსტერდამის „აიაქსი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ითამაშებს.

ალბათ, ბედის ირონიაა, რომ ერიკ ტენ ჰაგის გაწვრთნილმა ჰოლანდიურმა გრანდმა ორმატჩიან ბრძოლაში სწორედ ტურინის „იუვენტუსი“ დაამარცხა, ვისთანაც 1997 წელს თავად ჩამოშორდა დისტანციას და ღირსეული რევანში აიღო მაშინდელი იმედგაცრუებისთვის — 2:1 (1:1).

აღსანიშნავია ისიც, რომ ბენილუქსელები პირველნი არიან ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ხანგრძლივ ისტორიაში, ერთი გათამაშების განმავლობაში გასვლითი მატჩები რომ მოუგეს ჯერ მადრიდის „რეალს“, ხოლო შემდეგ — „ბებერ ქალბატონს“.

ასეთი შედეგი, უპირველესად, გულშემატკივართა იმ ნაწილმა უნდა გაითვალისწინოს, გადაჭარბებული წარმოდგენა რომ აქვს შექმნილი „სერია-ა“-ზე. დიახ, როცა იტალიური ფეხბურთის ფლაგმანი საერთაშორისო სეზონებს ქრონიკულად ამთავრებს ფიასკოთი, ეტყობა, საქმე სერიოზულ კრიზისთან გვაქვს და არა ლოკალურ ჩავარდნასთან.

აპენინელთა მორიგი კრახის მიუხედავად, კიდევ ერთხელ უნდა შევაქოთ მათი ლიდერი კრიშტიანუ რონალდუ, რომელმაც ზედიზედ მეშვიდე მეოთხედფინალში ისახელა თავი (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით), ამჯერადაც გახსნა ანგარიში და ჩემპიონთა ლიგაში შედეგიანობის სარეკორდო ინდივიდუალური მაჩვენებელი 126 გატანილ ბურთამდე გაზარდა, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა „ზოლიანთა“ ქუჩაზე გაზაფხული ვერ მოიყვანა. არადა, პორტუგალიელი ბომბარდირი ხომ სწორედ უმთავრესი ჯილდოს მოსაპოვებლად შეიძინეს „დელე ალპის“ ბინადართა შეფებმა?!

ხმაურიანი სენსაციის ავტორთა ქომაგებმა, შესაძლოა, მათ კერპთა შთამბეჭდავი გამოსვლის სათანადოდ შეუფასებლობა დაგვწამონ, თუმცა, გეკითხებით, დითირამბთა როგორი დოზა გამოდგება ახალგაზრდა „მფრინავ ჰოლანდიელთა“ ოსტატობის საზომად? აღარაფერს ვამბობთ გენიალური იოჰან კრუიფის დანერგილი საფეხბურთო ფილოსოფიისადმი ერთგულებაზე. ასე რომ, ვიმედოვნებთ, სახეზეა ტოტალური ფეხბურთის თანამედროვე ვარიანტის რეალური პერსპექტივა. ცოტაა?

დავძენთ, რომ გამარჯვების გოლის 19 წლის ავტორი, სტუმართა დაცვის ბურჯი მათიას დე ლიხტი ჩემპიონთა ლიგის მატიანეში გუნდის ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანია!

რაც შეეხება „ნარინჯისფერთა“ ვუნდერკინდის სავარაუდო ტრანსფერს კატალონიაში, სავსებით შესაძლებელია, რომ იგი ლიგის ტრიუმფატორში განხორციელდეს, რადგან „ბარსელონამ“ უპრობლემოდ გადალახა „მანჩესტერის“ წინაღობა — 3:0 (1:0).

გოლები: მესი — 2, კოუტინიო.

ვფიქრობთ, ფრონტის ხაზზე დარჩენილთაგან ერნესტო ვალვერდეს შეგირდები გამორჩეულ ფავორიტებად უნდა მივიჩნიოთ, თანაც, როგორც ცნობილია, ფინალი მათ თითქმის საკუთარ კედლებში — მადრიდში ექნებათ სათამაშო, მაგრამ უკვე იმაშიც დავრწმუნდით, რომ ნებისმიერი პროგნოზის დამსხვრევაა მოსალოდნელი.

გიორგი ზოთაძე

პროფესიონალმა დაგვიბარა

რჩევები დამწყებ ფეხბურთელებს

როცა ქართულ ფეხბურთში დამკვიდრებულ უამრავ პრობლემაზე საუბრობ, უპირველესად, ბავშვთა ფეხბურთში შექმნილ სავალალო მდგომარეობაზე უნდა გაამახვილო ყურადღება, თავად პრობლემა კი ბავშვთა ფეხბურთში დასაქმებულ მწვრთნელთა განათლების დაბალი დონე და მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა გახლავთ. მათი ჩამოთვლა ადვილია, მოგვარება — ძნელი. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა რეგიონებში. მოგეხსენებათ, ბავშვთა ფეხბურთი აუთვისებელი საბადოა, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულყოფილად ვერ ვიყენებთ იმ დიდ პოტენციალს, რომელიც გაგვაჩნია. ამიტომ, მიზანშეწონილად მივიჩნიე გამოჩენილი უკრაინელი სპაციალისტის — ვალერი ლობანოვსკის კონსპექტები მომეწოდებინა დამწყებ ფეხბურთელთათვის. თუ საქმიანობაში მას ვინმე გაითვალისწინებს, პირველი ნაბიჯის გადადგმაში აუცილებლად დაეხმარება.

დაცვაში თამაშის დროს:

— მცველი სწორად უნდა ირჩევდეს პოზიციას, ორივე ფეხით უნდა შეეძლოს გრძელი და ზუსტი გადაცემის შესრულება, მზად უნდა იყოს ორთაბრძოლაში შესასვლელად;

— თუ მცველი მეკარის საჯარიმოს ხაზის სიახლოვეს ფლობს ბურთს, ხიფათი რომ აიცილოს, ბურთი უნდა მოიგერიოს წინ ან გვერდით;

— კარის წინ მცველს ეკრძალება მეტოქის მოტყუება, რადგან დიდია ბურთის დაკარგვის რისკი და შესაძლებელია საკუთარ კარში მიიღოს გოლი;

— მცველმა ისე უნდა შეარჩიოს ადგილი, რომ თავისუფლად ხედავდეს ბურთსაც და შემტევ მეტოქეებსაც;

— მცველმა უნდა აკონტროლოს სიტუაცია, რათა შემტევმა არ შექმნას თავისუფალი სივრცე;

— როცა მეტოქის შეტევა ჩაიშლება, მცველმა იერიშის წამოწყების რამდენიმე ვარიანტი უნდა შესთავაზოს თანაგუნდელებს, ამასთანავე, მან უნდა იცოდეს თავისი მეკარის პოზიცია და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს მას.

შეტევის დროს:

— შეტევაში ჩართული მოთამაშე ვალდებულია ბურთი გადასცეს უკეთეს პოზიციაში მყოფ პარტნიორს, რათა შემდეგ თვითონ დაიკავოს ადგილი თავისუფალ სივრცეში იერიშის გასაგრძელებლად;

— ფორვარდი მუდამ უნდა მოძრაობდეს, ვინაიდან ერთ ადგილას მდგარი ფეხბურთელის თამაშიდან გამოთიშვა ძალიან ადვილია;

— თავდამსხმელი ორთაბრძოლაში შესასვლელად ბურთს იმ ფეხით უნდა აკონტროლებდეს, რომელიც მეტოქისგან შორსაა და საჭიროების შემთხვევაში საპირისპირო მხრიდან უნდა შეუტიოს;

— ფორვარდმა ბურთის მიღებისთანავე შეტევის გაგრძელების სხვადასხვა ვარიანტები უნდა გაიაზროს, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაარტყას და ითამაშოს დასწრებაზე.

უეფას მოთხოვნები ბავშვთა ფეხბურთისადმი:

— უეფას განმარტებით, ბავშვთა ფეხბურთი არის არა პროფესიული, არამედ დაწყებითი ფეხბურთი. მისი მონაწილენი ძალდაუტანებლად, მწვრთნელისა და მშობელთა კარნახისა და გაკიცხვის გარეშე თამაშობენ, სადაც მოზარდი მაქსიმალურად ავლენს საკუთარ შესაძლებლობებს, ეს კი ხელს უწყობს მათ პიროვნულად ჩამოყალიბებას. ბავშვებს უსაფრთხო გარემოში თამაში უნდა სიამოვნებდეთ და უნდა ისწავლონ როგორც მოგების, ასევე წაგების ერთნაირად აღქმა, რისთვისაც საჭიროა მოტივირებული ვარჯიში.

უეფას რჩევა მშობლებს:

— ვიდრე შვილს მწვრთნელთან მიიყვანს, მშობელმა წინასწარ უნდა შეამოწმოს მისი კვალიფიკაცია. სასურველია, შვილის გარეშე დააკვირდეთ საწვრთნელ პროცესს. კარგი განწყობის შესაქმნელად მწვრთნელი ღირსეული პედაგოგიც უნდა იყოს, რადგან მას შეუძლია სწორი მიმართულებით აღზარდოს თქვენი შვილი.

— სასურველია დაესწროთ თქვენი შვილის ვარჯიშებსა და თამაშებს, რადგან მას მშობლის ქომაგობა სიამოვნებს:

— გაამხნევეთ როგორც ძლიერი, ასევე შედარებით სუსტი ფეხბურთელები, არ გააკრიტიკოთ, მიეცით მათ დადებითი რჩევები.

— შეეკითხეთ, რამდენად სახალისო იყო თამაში და არა ანგარიში. ნუ გააპროტესტებთ მსაჯის გადაწყვეტილებას — იყავით მისი მხარდამჭერი.

— თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში აქტიურად ჩაერთეთ კლუბის საქმიანობაში, იყავით ზომიერები შეფასებაში და გახსოვდეთ, რომ თამაშობს თქვენი ბავშვი და არა — თქვენ.

თუ აღნიშნულ რჩევებს გაითვალისწინებთ, მაშინ ბავშვთა ფეხბურთის უპირველესი მიზანი — პატივისცემა, ჯანმრთელობა, ქმედუნარიანობა მიღწეული იქნება, რადგან მშობელს სურს მოზარდი განათლებულ მწვრთნელს ჩააბაროს და არა დილეტანტის მსხვერპლი გახდეს.

ბეჟან ჩხეიძე,
ზესტაფონიდან

სულთათანა

„მუშაკი სულიერისაჯ ვენახისაჯ“

ქართულმა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უხუცესი თანამშრომელი, დიდი მეცნიერი და დიდი მოქალაქე **მიხეილ ქავთარია**. იგი დაარსების დღიდან, 1958 წლიდან, გარდაცვალებამდე მუშაობდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ყოფილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი). წლების განმავლობაში იგი იყო საარქივო ფონდების განყოფილების ხელმძღვანელი, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

მიხეილ ქავთარია დაიბადა 1929 წლის 19 სექტემბერს ხაშურში. 1952 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1954-1957 წლებში ასპირანტურის კურსი გაიარა კორნელი კეკელიძის ხელმძღვანელობით, რომელიც დედამისის ბიძა იყო, ისევე როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე. ბატონი მიხეილ ქავთარია იყო ფართო დიაპაზონის ფილოლოგი, გამორჩეული არქეოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე, კვალიფიციური მკვლევარი, რომელიც ერთნაირად ფლობდა როგორც ქართულ მწერლობას, ისე საქართველოს ისტორიის საკითხებს. იგი იყო გამორჩეული ხელნაწერთმცოდნე, სწორედ ამიტომ იყო ყველაზე დიდი ავტორიტეტი, როდესაც საქმე ქართულ ხელნაწერს ეხებოდა და სწორედ ამიტომ მიმართავდა ყველა კონსულტაციისთვის.

მრავალმხრივი იყო ბატონი მიხეილის მეცნიერული ინტერესები. იგი იკვლევდა როგორც ძველი, ისე აღორძინების ხანის მწერლობას. 1960 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედება“, რომელშიც მან გამოამზეურა კათალიკოს ბესარიონ ორბელიშვილის აქამდე უცნობი აგიოგრაფიული ნაწარმოებები და ხელმისაწვდომი გახადა სამეცნიერო საზოგადოებისთვის. 1977 წელს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი თემაზე — „XVII-XVIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია“. ამ მონოგრაფიამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, რადგან მასში შესწავლილი და გამოქვეყნებულია აღორძინების ხანის ქართველ ჰიმნოგრაფთა მემკვიდრეობა და ასევე ღრმადაა შესწავლილი ლიტურგიკული კრებულის, სადღესასწაულოს წარმოშობისა და რედაქციებად დაყოფის საკითხი. მნიშვნელოვანია მიხეილ ქავთარიას ნაშრომები: „XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“ (ანტონ I კათალიკოსის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაზე), „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა“ და სხვ. მიხეილ ქავთარიას მეცნიერულ საქმიანობაში დიდი ადგილი ეჭირა არქეოგრაფიულ სამუშაოს. იგი აქტიური მონაწილე იყო (როგორც აღმწერი თუ რედაქტორი) ქართულ ხელნაწერთა აღწერილობების შედგენისა როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში, ისე საქართველოსა და უცხოეთში არსებულ სხვა სიძველეთსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერებისა.

ბატონი მიხეილი იყო არაჩვეულებრივი, ყურადღებიანი, კომპეტენტური და გულისხმიერი სამეცნიერო ხელმძღვანელი, გამორჩეულად კეთილმოსურნე და თუ საჭირო იყო, პრინციპული ოპონენტი სადისერტაციო ნაშრომებისა, არაერთი წიგნის რედაქტორი თუ რეცენზენტი. მისი ავტორიტეტი და საქმის სიყვარული გზას უნათებდა ახალბედა მკვლევარებს.

მიხეილ ქავთარია გამოირჩეოდა თავმდაბლობით, კეთილშობილებით, კეთილმოსურნეობითა და უშურველობით. მან თავი მთლიანად მიუძღვნა მეცნიერებასა და ხელნაწერთა ინსტიტუტს (ახლა უკვე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს). იგი იყო შერწყმული და შენივთული ამ დაწესებულებას, ამიტომაც, როდესაც ვინმე ახსენებს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, იქვე თვალწინ წარმოუდგება მიხეილ ქავთარია. ბატონი მიშა მუდმივად იმეორებდა, რომ ადამიანი, რომელიც ერთხელ მაინც იმუშავებს ხელნაწერზე, შეეხება მას, ასე ვთქვათ, ხელნაწერის მტვერს ჩაყლაპავს, ვერასოდეს დაანებებს თავს ამ საქმიანობას. როგორც მისი 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულს უწოდეს კიდეც, ბატონი მიშა იყო „მუშაკი სულიერისა ვენახისა“. ამავე დროს ბატონი მიშა, მიუხედავად ასაკისა, მუდამ ახალგაზრდა იყო შემოქმედებითად, ამოუწურავი ინტერესებით, ცხოვრების მუხტით. უბადლო კომუნიკაციის უნარი ბოლომდე შერჩა, ამიტომაც ჰქონდა საოცარი ხიბლი, ამიტომ იზიდავდა ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. იგი ყველას მეგობარი და მესაიდუმლე იყო. არავის ტოვებდა განცდა, რომ განსაკუთრებით ახლოს იყო მასთან. ყველასთვის ყოფნიდა სითბო და სიყვარული. ყურადღებით მოსმენა იცოდა და საჭირო რჩევის მოცემა როგორც პროფესიულ, ისე პირად საკითხებზე. რაც მთავარია, იცოდი, რომ აქვე იყო და თუ რამეა, მიაკითხავდი და შენ გვერდით იქნებოდა. გვეიმედებოდა! ახლა კი დაობლდა ცენტრი. წავიდა ბატონი მიშა და თავის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, ქართულ ფილოლოგიას ერთადერთხელ ატკინა გული ამ წასვლით.

დიდი მადლობა ყველაფრისთვის და მშვიდობით, ბატონო მიხეილ!

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხსოვნა

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული ხელნაწერების დიდი მოამაგის, მწიგნობართა ასოციაციის, ბიბლიოფილთა ალმანახ „მწიგნობრის“ სარედაქციო საბჭოს ერთგული თანამდგომის

მიხეილ ქავთარიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გივი ასაშვილი, თენგიზ ქოიავა, ოთარ ბრეგვაძე, ვახტანგ ვეფხვაძე, შალვა მგალობლიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი მეგობარი

რომან (ზიჩი) ჟიდკოვი

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

დაკრძალვა სამტრედიაში 21 აპრილს.

წნევის ზეწოლას რომ გავუძლოთ...

არსებული მონაცემებით, მაღალ არტერიულ წნევას ჩვენში მოსახლეობის დაახლოებით 20 პროცენტი უჩივის, ხოლო 50 წელს გადაცილებულთა შორის — უკვე ყოველი მეორე ადამიანი. ჰიპერტონიის არასწორ მკურნალობას შესაძლოა, უმძიმესი შედეგი მოჰყვეს — ინფარქტი, ინსულტი, აორტის ანევრიზმა თირკმლის უკმარისობა, თვალისჩინის დაკარგვა. ჰიპერტონია განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით, მომატებულ არტერიულ წნევად მიჩნეულია, როცა მისი მნიშვნელობები ვერცხლისწყლის სინდიყის 140/90 მილიმეტრს აღემატება. წნევის მკვეთრი მომატება არ არის პათოლოგიის ნიშანი, გაცილებით მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად სწრაფად მოდის ნორმაში. აუცილებელია იმის ცოდნაც, რომ იდეალური არტერიული წნევის პარამეტრები ყოველ ადამიანს ინდივიდუალური აქვს და იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ჰქონდა ადამიანს ჯანმრთელად ყოფნის დროს.

წნევა უნდა იზომებოდეს მჯდომარე ან მწოლიარე მდგომარეობაში, სულ მცირე 5-წუთიანი სიმშვიდის პაუზის შემდეგ. ტონომეტრის მანჟეტი მკლავზე გულის დონეზე უნდა იყოს დამაგრებული. სასურველია, გაზომვისას ორი ანათვალი რამდენიმეწუთიანი ინტერვალით იქნას აღებული.

ჰიპერტონიული დაავადების პროფილაქტიკა მათთვისაა აუცილებელი, ვინც ამ სნეულების გამო რისკის ჯგუფში შედის. პირველ ყოვლისა, ესენი სახიფათო მემკვიდრეობის მქონე პირები არიან, ანდა ისინი, ვინც ახალგაზრდობაში ჰიპერტონიული ტიპის ვეგეტოსისხლძარღვოვანი ჰისტონიით იყო დაავადებული. **ამ ადამიანებმა აუცილებლად უნდა დაანებონ თავი თამბაქოს მოწევას, მეტი იმოძრაონ (განსაკუთრებით სასარგებლოა სირბილი და ცურვა), ნაკლებად მიიღონ ცილოვანი საკვები, შეზღუდონ მარილის მოხმარება, ნორმაში ჩაიყენონ წონა, იძინონ არანაკლებ 8 საათისა.**

მეორადი პროფილაქტიკა კი მაშინაა საჭირო, როცა ავადმყოფობა უკვე არსებობს. იგი სახიფათო გართულებების — ინფარქტისა და ინსულტის წინააღმდეგაა მიმართული და **გამუდმებულ სწორსა და ადეკვატურ მკურნალობაში მდგომარეობს.**

მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

ჯიშკარიანი პროკურატურაში დაჰკითხეს

საკრებულოს დეპუტატი და „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი ჯაბა ჯიშკარიანი პროკურატურაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა. ჯიშკარიანი საგამოძიებო უწყებაში ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით დაიბარეს.

ჯიშკარიანმა რამდენიმე დღის წინათ გადაცემა „რეაქციაში“ ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებული პირის გიორგი დალაქიშვილის დაწინაურებაზე ისაუბრა. მისი თქმით, დალაქიშვილი ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეში ფიგურირებდა, თუმცა რა ფორმით, დეპუტატი არ აკონკრეტებს.

„გიგი დალაქიშვილი „ქართულმა ოცნებამ“ დააწინაურა და თბილისის სამმართველოს უფროსის ადგილს იკავებდა. ჩვენი პროტესტის შემდეგ მან და მხეიძემაც დატოვეს თანამდებობები. დალაქიშვილი შემჩნეული იყო არაერთ ჯალათობრივ ამბებში — ფიგურირებდა ვაზაგაშვილის და ხარძიანის მკვლელობის საქმეში. დამატებით დეტალებზე მოგვიანებით ვისაუბრებ“, — განაცხადა ჯაბა ჯიშკარიანმა.

მატარებელი მამაკაცს დაეჯახა ...

ძარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ხვედურეთთან, ბათუმი-თბილისის ჩქაროსნული მატარებელი მწყემსს დაეჯახა. 40 წლამდე მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სსკ-ის 275-ე მუხლის მეოთხე ნაწილით დაიწყო, რაც სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ევროკავშირი ისრაელის წინააღმდეგ

„ევროკავშირი ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელის სუვერენიტეტს არ ცნობს“, — აღნიშნული განცხადება ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა.

ფედერიკა მოგერინის თქმით, ევროკავშირის ეს პოზიცია გოლანის მაღლობებზეც ვრცელდება.

„აშშ-მა გოლანის მაღლობები ისრაელის ტერიტორიის ნაწილად აღიარა. ევროპულ გაერთიანებას აქვს ძალიან მკაფიო პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ვეფუძნებით რა საერთაშორისო კანონმდებლობასა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, ევროპული გაერთიანება არ აღიარებს ისრაელის სუვერენიტეტს და ჩვენი ეს პოზიცია, რასაკვირველია, ვრცელდება გოლანის მაღლობებზეც.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გოლანის მაღლობებზე ისრაელის სუვერენიტეტი აღიარა.

გოლანის სიმაღლეები 1967 წლამდე სირიის შემადგენლობაში შედიოდა. ექვსდღიანი ომის შემდეგ ისრაელის ძირითად საგანს წარმოადგენს.

რატომაა ხმელეთზე დამზადებული საკვები ჰაერში უმარილო?

სპეციალისტებმა გაარკვიეს, თუ რატომაა ხმელეთზე დამზადებული საკვები ჰაერში უმარილო. ბორტზე მგზავრების ნაწილი საკვები პროდუქტებში მარილის ნაკლებობას უჩივის. ის, რომ საკვებში მცირე დოზით მარილი შეინიშნება, ამაში არც მზარეული და არც ავიაკომპანია არ უნდა დავადანაშაულოთ. ექსპერტებმა ამ ყველაფერს თავისებური ახსნა უპოვეს.

მეცნიერთა აზრით, ჰაერში გემოს და სუნის აღქმაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას.

თვითმფრინავში არსებული მშრალი ჰაერი ასახვას პოვებს როგორც გემოს, ასევე ყნოსვის რეცეპტორებზე.

ლორწოვანი გარსები წყვეტენ მათი ფუნქციების შესრულებას. ასეთ დროს კი სიტკბოს, მარილისა და ხორცის გემოს აღქმა 30%-ით მცირდება.

გიგანტურმა კიბოებმა ალიგატორი შეჭამეს

გიგანტური კიბოსნაირების შესწავლის ფარგლებში ჩატარებული ექსპერიმენტისას მეცნიერებმა მექსიკის ყურის ფსკერზე მკვდარი ალიგატორის სხეული ჩაუშვეს, სანახაობა, რომელიც ვიდეოკადრებმა დაიფიქსირეს, ნამდვილი საშინელებათა ფილმი გამოდგა. ექსპერიმენტისას მითითებული იყო, რომ ალიგატორი ჰუმანურად იქნა დაძინებული, ალიგატორების რაოდენობის მარეგულირებელი პროგრამის ფარგლებში.

კადრებში ჩანს, როგორ დაეხვივნენ კიბოსნაირები ალიგატორს და მისი შთანთქმა დაიწყეს.



კიბოსნაირების ეს სახეობა დიდ სიღრმეებზე ცხოვრობს და ნაკლებ შესწავლილია, მათ საკვების გარეშე გაძლება დიდხანს შეუძლიათ, მაგრამ, თუ საკვები ნახეს, ისინი იმ დონეზე ჭამენ, რომ გადაადგილების უნარი ეზღუდებათ.

ჰოლანდიელი რეპროდუქტოლოგი პაციენტებს მალულად აორსულებდა



ნიდერლანდებში ექიმმა რეპროდუქტოლოგმა იან კარბაატმა, რომელიც 2017 წელს 89 წლის ასაკში გარდაიცვალა, უჩუმრად 50 ქალი დააორსულა, მისმა შვილებმა კი, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ, შესაძლოა კომპენსაცია მოითხოვონ.

იან კარბაატმა 2017 წელს სიკვდილის წინ აღიარა, რომ ნიდერლანდების ქალაქ ბარენდრეხტის კლინიკაში 60-მდე ბავშვი ჩასახა. გაირკვა, რომ ბავშვების მამების სპერმას საკუთარი ბიოლოგიური მასალით ანაცვლებდა. ამ აღიარების შემდეგ კარბაატის პოტენციურმა შვილებმა შეიტანეს სამოქალაქო სარჩელი, რადგან გაერკვიათ, ვინ იყო მათი ნამდვილი მამა. 2019 წლის თებერვლში სასამართლომ ექიმის დნმ-ს გამოყენების ნებართვა გასცა მამობის ტესტის დასადგენად.

მედიის ცნობით, დნმ-ს ტესტმა დაადასტურა, რომ კარბაატი სულ მცირე 49 ბავშვის მამაა. ამასთან, აღნიშნულია, რომ ბავშვების რეალური რაოდენობა, შესაძლოა, გაცილებით მეტი იყოს.

გამოცემა NL TIMES-ი იუწყება, რომ კარბაატი კლინიკაში 1980-2009 წლებში მუშაობდა.

„ბეჭდების მბრძანებლი“ გრძელდება

ცნობილი გახდა „ბეჭდების მბრძანებლის“ სერიალის გადაღების დრო და ადგილი. Daily Record-ის ინფორმაციით, Amazon-ის ჯერ კიდევ უსათაურო სერიალის გადაღებები 2019 წლის ზაფხულში შოტლანდიაში დაიწყება.

გავრცელებული ცნობით, პროექტს გიგანტურ პავილიონებში გადაიღებენ, რომლებსაც ამ დროისათვის ამზადებენ. მაღალბიუჯეტიანი სერიალი მწერალ ჯონ რონალდ რუელ ტოლკინის მიერ გამოგონილი სამყაროს მეორე ეპოქაზე მოგვითხრობს, რომელიც მაყურებლებს ტრილოგიის მოვლენებამდე 3 ათასი წლით ადრე გადაიყვანს.

სერიალის სცენარისტები ჯონ პეინი და პატრიკ მაკკეი იქნებიან. წინასწარი ინფორმაციით, პირველი სეზონი, შესაძლოა, 2021 წელს გამოვიდეს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6906; ევრო - 3.0404;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5201;
100 რუბლი - 4.1792; თურქული ლირა - 0.4631;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5826;
1000 სომხური დრამი - 5.5625.

ამინდი 18 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +17
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +14
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +11
თბილისი: ღამე +7, დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge